ნანა ღონღაძე, ნათელა მაღლაკელიძე

ქართული ენა და ლიტერატურა

9

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

ქართული ენა და ლიტერატურა

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორი ნანა ღონღაძე, ნათელა მაღლაკელიძე

რედაქტორი დარეჯან კვანჭიანი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-538-8

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11
E-mail: meridiani777@gmail.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012
© ნ. ღონღაძე, ნ. მაღლაკელიძე

N. Ghonghadze, N. Maglakelidze
„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 9, in Georgian
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

მეთოდური მითითებანი მასწავლებლებისათვის:

სასწავლო კომპლექტი შედგება ორი კომპონენტისაგან:

ა) მოსწავლის წიგნი,
ბ) მასწავლებლის წიგნი.

ა) „მოსწავლის წიგნი – ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი“ შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ცდილობს, დაიცვას ის მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საკითხავი მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა:

1. *ანა კალანდაძე, „მოდიოდა ნინო მთებით“;*
2. *ლეონტი მროველი „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება“;*
3. *იოანე მინჩხი, „ჰიმნი“ („ჟამნი ჩუენნი, ვითარცა-რაი სიზმარნი“...);*
4. *ანა კალანდაძე, „ფეხი დამადგით“;*
5. *ვაჟა-ფშაველა, „კაი ყმა“;*
6. *შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (ანდერძი ავთანდილისა);*
7. *ილია ჭავჭავაძე, „დაე, თუნდ მოვკვდე“;*
8. *ბესიკი, „ტანო ტატანო“;*
9. *პაოლო იაშვილი, „დარიანული“;*
10. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, „საყურე“;*
11. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“;*
12. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, „სული ობოლი“;*
13. *ვალერიან გაფრინდაშვილი, „სენტიმენტალური ტრიოლეტი“;*
14. *რეზო ჭეიშვილი, „მუსიკა ქარში“ / „ლურჯი ფრინველი“/;*
15. *სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“ /შემოკლებით /;*
16. *მუხრან მაჭავარიანი, „საბა“;*
17. *დავით გურამიშვილი, „დავითიანი“ /მითითებული სახით /;*
18. *ილია ჭავჭავაძე, „სარჩობელა ზედ“;*
19. *მიხეილ ჯავახიშვილი, „ეშმაკის ქვა“;*
20. *გიორგი ლეონიძე, „მარიტა“;*
21. *მზეჭაბუკ ორბელიანი, „სიტყვა თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“;*
22. *ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“;*
23. *ილია ჭავჭავაძე, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ /მითითებული სახით /;*
24. *ნიკო ლორთქიფანიძე, „საშობაო მინიატურები“;*
25. *ნიკო ლორთქიფანიძე, „ლიტერატურული საღამო“;*

საკითხავი მასალის ნაწილი შერჩეულია ჩვენ მიერ. ეს არის:

1. *შ. ნიშნიანიძე, „ზედაზენი“;*
2. *დავით აღმაშენებელი, „ანდერძი“ /შემოკლებით /;*
3. *დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“ /შემოკლებით /;*
4. *არსენ იყალთოელი, „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“;*
5. *აკ. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“;*
6. *რ. ინანიშვილი, „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“;*
7. *გ. ჩოხელი, „თეთრჩოხიანი და შავჩოხიანები“;*
8. *„ხვარამზეს ლექსი“ (ხალხური);*

9. *შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ / „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“/;*
10. *შტეფან ცვაიგი, „უცნობი ქალის წერილი“;*
11. *ანა კალანდაძე, „ბროწეულები“;*
12. *ტერენტი გრანელი, „გულიდან სისხლის წვეთები“;*
13. *ტერენტი გრანელი, „გაზაფხულის საღამოა მშვიდი“;*
14. *რიჩარდ ბახი, „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“;*
15. *გოდერძი ჩოხელი, „მართა“;*
16. *მუხრან მაჭავარიანი, „საშველს რომ აღარ მაძლევს“;*

ტექსტები დალაგებულია თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით. ეს ბუდეებია:

„მოქცევა ქრთლისაჲ“
„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“
„კარგ ყმად ვინა ვთქვათ“
„სიცოცხლეო ჩემო“
„სული საზღვარს გადასცდება ფრენით“
„სადაურსა სად წაიყვან“
„ბრბოს ფსიქოლოგია“
„ქართველთა გასაგონად“

საკითხავი მასალის დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, მეორე მხრივ კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციას. ამ მიზნით მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: **გავიგოთ** (ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), **გავიაზროთ** (ანალიზზე ორიენტირებული), **შევაფასოთ** (შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ვეცადეთ, ლიტერატურულ მასალასთან მჭიდრო კავშირში წარმოგვედგინა ენობრივი მასალაც. აქ ყურადღება გამახვილებულია როგორც ტექსტის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე (იხ. რუბრიკა ისე – პრაქტიკული სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის საკითხებზე (იხ. რუბრიკა „ენის სამყაროში“). ენობრივ მასალაზე მუშაობისას ვიყენებთ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და ამავე დროს, აიოლებს თეორიული დეფინიციების მიწოდებას იქ, სადაც ეს აუცილებელია. ვეცადეთ, რომ თეორიული მასალის მიწოდება მაქსიმალურად შეგვეზღუდა და წინა პლანზე წამოგვეწია ცალკეული გრამატიკული კატეგორიების ფუნქციური ასპექტები. ამ თვალსაზრისით არის განხილული წიგნში წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. მათი გაცნობისას წინა პლანზე დგება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და არა სათანადო წესებისა და განსაზღვრებების მექანიკური დაზეპირება (რაც არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევა ჩვენს სკოლებში გრამატიკული მასალის სწავლების ძირითად ნაკლად). ამ მიზნით ამავე რუბრიკაში წარმოდგენილი გახლავთ ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, ლექსიკოლოგიურ-სტილისტური სავარჯიშოები, რომელთა ნაწილი მასწავლებლის მითითებით სრულდება კლასში, ნაწილი კი შინ შესასრულებლად არის გათვალისწინებული.

საკითხავ ტექსტებს ახლავს საწერი დავალებები. ვეცადეთ, რომ ეს დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანი და მოსწავლეთათვის საინტერესო ყოფილიყო. ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი საწერი დავალებები ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წერის სტრატეგიების დაუფლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ფუნქციური წერის ელემენტებზე. თუ მასწავლებელი არასაკმარისად ჩათვლის ამ სავარჯიშოებს, რა თქმა უნდა, მას შეუძლია მათი შეცვლა და გამრავალფეროვნება საკუთარი შეხედულებისამებრ.

ბ) „მასწავლებლის წიგნი“ წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. მასში მოცემულია მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის სცენარი. სცენარებში ჩავრთეთ ის უახლესი მეთოდები, რომელთა დიდი ნაწილი ახლა იკიდებს ფეხს და შესაძლოა, ამ კუთხით საინტერესო

აღმოჩნდეს მასწავლებლისათვის. თითოეული სცენარის ბოლოს მითითებული „მოსალოდნელი შედეგები“, რაც სათანადო კოდით არის აღნიშნული (ამ კოდით აღნიშნული შედეგი მასწავლებელს შეუძლია იხილოს IX კლასის „საგნობრივ სტანდარტში“). რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი „სცენარები“ მხოლოდ **საორიენტაციოა და არა სავალდებულო**. პედაგოგს შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულებისამებრ მეთოდი, საათებისა და საორიენტაციო დროის განაწილება, აქტივობები... აქვე ჩავურთეთ ის საინფორმაციო მასალაც, რომელიც შესაძლოა, მასწავლებელს დასჭირდეს ამა თუ იმ ტექსტის დამუშავებისას. შევნიშნავთ, რომ ეს „დამატებითი ინფორმაციები“ მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი. პედაგოგის გადასაწყვეტია, რა სახით გამოიყენებს მას გაკვეთილზე.

გაკვეთილის თემა: **სასწავლო წლის დასაწყისი, ანა კალანდაძე „მოდიოდა ნინო მთებით“ (2 სთ).**

მიზნები:

- გაბმული მეტყველების განვითარება;
- მხატვრული ტექსტის გააზრება;
- პოეტური ტექსტის აღქმა და მხატვრულ სახეებზე დაკვირვება;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება;
- მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის გაზიარება;
- კონტექსტის შესაბამისად მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის წარმართვა;
- კითხვის სტრატეგიების მიზნობრივად გამოყენება;
- ჯგუფთან (პარტნიორთან) მუშაობა;
- ლექსის რაობა (თანაბარმარცვლიანი და არათანაბარმარცვლიანი სალექსო საზომი; ლექსის რიტმი და რითმა);
- განვლილი ენობრივი მასალის გამეორება ლიტერატურულ ტექსტთან კავშირში.

I–II გაკვეთილი (1)

აქტივობა 1. კლასის მობილიზება: გაკვეთილი რამდენადმე არატრადიციულად იწყება – ეს არის სასწავლო წლის დასაწყისი და ბუნებრივია, საგაკვეთილო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი კლასის მობილიზებას დაეთმობა.

აქტივობა 2. ზაფხულის შთაბეჭდილებები: დასრულდა კიდევ ერთი საზაფხულო არდადეგები. ეცადეთ და თქვენს პარტნიორთან ერთად ააგეთ ტექსტი, პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს (დავალება სრულდება წყვილებში):

– რით იყო ეს ზაფხული თქვენთვის გამორჩეული?

– რა განწყობით ბრუნდებით სკოლაში?

– რა სიახლეები დაგხვდათ?

– როგორ აფასებთ ამ სიახლეებს?.. (შეგიძლიათ კითხვები თავადაც დაამატოთ, ტექსტს სათაურიც თავად შეურჩიეთ).

მოსწავლეებს ამ დავალების შესრულებამდე ურიგდებათ ე. წ. **„სამახსოვრო“** (ეს **„სამახსოვრო“** შეიძლება კლასშიც გაიკრას თვალსაჩინო ადგილას).

----

1. რადგან ეს პირველი გაკვეთილებია ახალ სასწავლო წელს, ამიტომ საჭიროდ არ ვცანით აქტივობების გამოყოფა ზუსტი საგაკვეთილო დროის მითითებით.

მოიფიქრეთ სათაური
წინასწარ შეადგინეთ გეგმა
გააკეთეთ შავი ჩანაწერი
წაიკითხეთ და ჩაასწორეთ
წაუკითხეთ თქვენს ამხანაგებს
მოისმინეთ მათი შეფასება...

აქტივობა 3. კითხვისათვის მზადება: მასწავლებელი დაფაზე წერს ლექსის სათაურს „მოდიოდა ნინო მთებით“. კლასს უჩვენებს საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ხატს, ფარავნის ტბისა და ჯავახეთის მთების სურათს.

მასწავლებლისათვის:

იხ. ვრცლად ცნობები წმინდა ნინოს ღვაწლის შესახებ

დაისმის კითხვები:

– რა არის ლექსის თემა?

– ვინ იგულისხმება „უცხო მგზავრში“?

– რა მისიით მოდის იგი საქართველოში? ლექსის რომელ სტრიქონებში ჩანს ეს?

– რამ გააკვირვა იგი?

– საქართველოს რომელი კუთხეა აღწერილი? რა იცით ამ კუთხის შესახებ?

– გადმოცემის მიხედვით, საიდან შემოვიდა ნინო ჩვენს ქვეყანაში?

– რატომ უწოდებს ავტორი ნინოს „უცხო მგზავრს“?

– „წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?“ – ნინოს რა სულიერ განცდას უსვამს
ხაზს ამ სიტყვებით პოეტი?

– როგორ ფიქრობთ, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს სიტყვა „მწყემსს“ ლექსში?

– თქვენი აზრით, რისი თქმა სურს პოეტს მთისა და ბარის, ვარდისა და თოვლის კონტრასტით?

– რა ისტორიული მოვლენა დაედო ამ ლექსის შექმნას საფუძვლად?

– დააკვირდით, რომელი სიტყვით გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას
ამ ისტორიული მოვლენის მიმართ?

– რა დატვირთვა აქვს ლექსში პეიზაჟს: ა) ავტორის მიერ ბუნებრივ კლიმატზე გამახვილების; ბ) პეიზაჟით ტკბობის განცდის; გ) ისტორიულ მოვლენასთან კავშირის; დ) ნინოს რთულ მისიაზე მინიშნების.

(დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ლექსისა და ისტორიული გადმოცემის შეჯერებით).

– რომელი მხატვრული ხერხებით აღწევს პოეტი ემოციური განწყობილების შექმნას? მოძებნეთ ლექსში შესაბამისი სტრიქონები. დააკვირდით, რომელი სიტყვები მეორდება ქვემოთ მოხმობილ სტრიქონებში და შეეცადეთ განმარტოთ, რას ემსახურება მათი გამეორება:

„მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი“.

– გაიხსენეთ, რას ეწოდება არქაიზმები? თქვენი აზრით, რატომ იყენებს არქაიზმებს პოეტი?

ლექსის წაკითხვამდე ყურადღება გამახვილდება ფარავნის ტბის მოკლე დახასიათებაზე (სად მდებარეობს, რომელი მდინარეებით საზრდოობს, რით არის მდიდარი, რომელ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება იგი)?

აქ მასწავლებელი მოკლე ექსკურსს აკეთებს წმინდა ნინოს ღვაწლზე. როგორ არის გაცოცხლებული ანა კალანდაძის ლექსში წმინდა ნინოს ხატება, მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე.

აქტივობა 4. ტექსტის კითხვა და მის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება:

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით, თუ საშუალება აქვს, მოასმენინებს გურამ საღარაძისეულ ვარიანტსაც, შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს მას რამდენჯერმე, საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას. ყურადღება მახვილდება: ა) ინტონაციაზე, ბ) ფსიქოლოგიურ მახვილებზე (მახვილი კეთდება სიტყვებზე: „ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა“, მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა“, „ნუ გეშინინ! მიუგებდა იესო...“ ...), ლოგიკურსა და გრამატიკულ პაუზებზე (რომლებიც აქ ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა)... არქაიზმებზე, როგორც მხატვრულ ხერხზე პოეტის ჩანაფიქრის გადმოცემის საშუალებაზე.

– გაიხსენეთ, რას ეწოდება რითმა. მოძებნეთ ლექსში რითმის ნიმუშები (*ჰყვაოდნენ – ბღაოდნენ, მოჰკიოდა – მოდიოდა...).*

– ლექსში პოეტი იყენებს გამეორებებს. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს ადგილები („*მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა“, „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა...“).*

– როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს პოეტი ამ ხერხს? *(ფაქტებსა და მოვლენებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, სათქმელის უფრო ნათელსაყოფად).*

აქტივობა 5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება: თანდებულის რაობის გახსენება.

– რას ეწოდება თანდებული? რას გვიჩვენებს? რამდენგვარია და რომელ ბრუნვებში დაერთვის სახელს?

– რომელი თანდებულიანი არსებითი სახელები გვხდება ლექსში ? რომელ ბრუნვებში დგას ეს არსებითი სახელები? რომელია მათგან არქაული ფორმით გამოყენებული?

აქტივობა 6. საშინაო დავალება: ლექსი ზეპირად. ყურადღება მიაქციონ გამომეტყველებით კითხვას. წერითი დავალება მასწავლებელმა შეარჩიოს თავისი შეხედულებისამებრ.

შედეგები:
IX-2, IX-3, IX-6, IX-7, IX-9, IX-10, IX-11.

მასწავლებლისათვის: გთავაზობთ დამატებით ინფორმაციას „ნინოს ცხოვრების“ შესახებ.

ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“

„ცხორებაჲ და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“:

მირიანის ნადიროობა და მზის დაბნელება

/ შემოკლებით /

IV საუკუნის ქართული სინამდვილე

„ნინოს ცხოვრება“ ეპოქის მატიანეა. მასში წარმოჩენილია IV საუკუნის I ნახევრის ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისტორიული რეალიები.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებული ძვრები და გარდაქმნები თხზულებაში ამ ისტორიული აქტის მონაწილეთა და თვითმხილველთა თვალითაა დანახულ-შეფასებული. ნინოს ცხოვრების რეალისტურ ხასიათს სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს.

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, IV საუკუნის I ნახევრისათვის საქართველო არის „საწარმართოჲ ქუეყანაჲ“, რომელიც მოკლებულია სულიერ ნათელს. იგი მდებარეობს „ნაპრალსა ჩრდილოისასა, რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა ცოდვისასა და ველნი – ალმურსა ცთომისასა“. ესაა სარწმუნოებრივი ნათლისაგან განძარცვული მხარე, სადაც „დღე – ღამედ და ნათელი ბნელად არის ქცეული“. აქ ცხოვრობს „ერი უცხოი, უცხო ღმერთთა მსახური, რომელი ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანისსცემდეს“.

ქართველთა სალოცავი კერპია მზის მიწიერი განსახოვნება – არმაზი, „ღმერთი, დიდთა ნაყოფთა მომცემელი... მზის მომფენელი და წვიმისა მომცემელი, ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელი“. ეს არის „კაცი ერთი სპილენძისაჲ, და ემოსა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროისაჲ, და თავსა მისსა აქუნდა ქვაჲ ბივრიტი და იაკინთოჲ, ხოლო ხელსა აქუნდა ხრმალი, რომელი, ვითარცა ელვაჲ, საზარელად იქცეოდა ხელსა მისსა“.

არმაზს მარჯვნივ უდგას „კაცი ოქროისაი, და „სახელი მისი გაც“, მარცხნივ კი – „კაცი ვეცხლისაჲ, და სახელი მისი გაი“.

ნაწარმოების მიხედვით, არმაზის კერპთან დაკავშირებული დღესასწაული დიდი ზეიმით აღინიშნება: „წარემართნეს სიმრავლენი ერთანი ქალაქად სამეუფო მცხეთად თაყუანის-ცემად ღმრთისა მათისა არმაზისა“. ფერად-ფერადი სამოსით მორთული მოდღესასწაულენი საყვირის ძახილით გამოხატავენ საზეიმო განწყობას. ისინი ყვავილებით ამკობენ შუკებსა და ქუჩაბანდებს და მოწიწებით უთმობენ გზას ნანა დედოფალს, რომელიც მათთან ერთად იზიარებს სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის სალოცავებთან მიახლების სიხარულს. ზეიმში მირიან მეფეც მონაწილეობს. იგი „ებნითა და ქნარითა და ხმითა ნესტვისაითა და მრავლითა სახიობითა“ უერთდება სადღესასწაულო რიტუალის მონაწილეებს.

მოზეიმენი ხმამაღლა განადიდებენ მეფეს, რომელიც, მათი წარმოდგენით, მზის განმასახიერებლად, მის ძედ ითვლება. მიწიერი ღმერთის განდიდებით ისინი არმაზს სცემენ თაყვანს.

ნაწარმოებში დრამატული ფერებითაა აღწერილი არმაზის კერპების მსხვრევის შთამბეჭდავი სურათი. მეყსეულად გამოჩნდა დასავალით ღრუბელი ბნელი, და ქარი ძლიერი, და იქმნეს ქუხილნი სასტიკნი და ხმანი საზარელნი, და მეხის ტეხანი შესაძრწუნებელნი... კერპთა მათ ზედა მოიწეოდა სეტყუაი თხრობად განსაკვირვებელი, რომელი, ვითარცა რკინისაჲ ანუ თუ რვალისაჲ ეკუეთებოდა, ვიდრემდის სრულიად დამუსრნა და დააწულილნა, ვითარცა მტუერი“. უფლის ნებით, ნაცარმტვრად იქცნენ „კერპნი საძაგელნი, რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა თივას, თიბდეს, რომელთა ქვანიცა მათნი დაუტვან სისხლთა ჩჩვილთაისა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

„ნინოს ცხოვრებაში“ წარმართული კერპების მსხვრევა გააზრებულია, როგორც სიმბოლო ძველი სამყაროს განადგურებისა, რასაც ახალი, სულიერი ნათლის დამკვიდრება უნდა მოჰყვეს.

მრავლისმთქმელია, რომ კერპების მსხვრევა 6 (19) აგვისტოს, ფერისცვალება დღეს მოხდა. ამ დღიდან დაედო დასაბამი სრულიად საქართველოს გაქრისტიანებას, მის ფერისცვალებას, მის სულიერ გარდასახვას. ეს დღე იქცა მომასწავებლად იმისა, რომ ცოდვის ნისლით დაბნელებულ „ჩრდილოის ქუეყანაში“ ჭეშმარიტი ღმერთი ეხილათ, მისი დიდება შეეცნოთ და ეღიარებინათ.

„ნინოს ცხოვრებაში“ თვალნათლივ არის წარმოჩენილი, როგორ თანდათან, ნელინელ იკაფავს გზას ქრისტეს რწმენა ქართლის მკვიდრთა ცნობიერებაში. ახალი სარწმუნოების სულისჩამდგმელად მათ ევლინებათ „ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ ნინო, დედუფალი ჩუენი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები რაი აღმოჰხდის და ცის კარი აღიღის და მისა შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისაჲ“.

„ნინოს ღმერთის“ მცნებებს თავდაპირველად ნანა დედოფალი ეზიარა. „ბოროტთა სენითა შეპყრობილი“, იგი წმ. ნინოს ლოცვით გამოჯანსაღდა და „ყოვლითურთ განკურნებული წარავლინა სახიდ თვისად“.

„სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრემ“ დედოფალს „მოუთხრნა ჩუენდა მოსრულისა ღმრთისა და მაცხოვრისა ქრისტეის განკაცებაჲ, და ჯუარ-ცუმაჲ, და აღდგომაჲ, და ზეცად ამაღლებაჲ. და დაუმტკიცებდა, ვითარმედ ჭეშმარიტად იგი არს ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ, და ზღუათა და ყოველთა, რაი არს მათ შინა“.

„განკვირვებულმა და ტკბითა სწავლათა მიერ ნეტარისა ნინოისთა განათლებულმა“ დედოფალმა მეფეს აუწყა „ძალი ღმრთისაჲ მის, რომელსა ქადაგებს უცხოი იგი“, რაც ხელმწიფეს „დაუკვირდა ფრიად“.

ნანა დედოფალთან ერთად წმ. ნინოს სეფექალებიც დაემოწაფნენ. „და იქმოდა წმიდაჲ ნინო ურიცხუთა კურნებათა და ქადაგებდა ღმერთსა ჭეშმარიტსა“. მისი ქადაგების ძალა ირწმუნა დედოფლის ბიძამ, „მრავალთა წელთა ვნებულმა“ და მის მიერ განკურნებულმა.

„ნინოს ცხოვრებაში“ მკაფიოდაა აღბეჭდილი ის უნდობლობა და ეჭვი, რომლითაც მირიან მეფის არსებაა მოცული. ძველი რწმენის ერთგულება აღმოაცენებს მასში მტრულ დამოკიდებულებას ახალი სარწმუნოების მიმართ, რასაც გამოხატავს წმ. ნინოსა და ნანა დედოფლისადმი მიმართული მუქარით: „შე-მო-რაი ვიქცე, შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათვის ღმერთთა ჩემთაისა“.

ამ დანაქადნების პასუხად აღიქმება თხოთის მთაზე „განგებითა ზეგარდმოითა“ მოვლენილი სასწაული, რომელმაც მეფე მირიანის ფერისცვალება განსაზღვრა.

ნაწარმოებში შთამბეჭდავად არის ასახული სანადიროდ მყოფი მეფის მოქცევის სცენა. ზაფხულის კაშკაშა მზის დაბნელების მხილველი, არმაზისა და ზადენის ამაო მოხმობით იმედგაცრუებული მეფე „ნინოს ღმერთს“ შესთხოვს: „ღმერთო ნინოისო, განმინათლე სიბნელე ესე და გამომიბრწყინვე მე ნათელი, რაჲთა აღვიარო სახელი შენი წმიდაჲ და გადიდებდე შენ“.

„ესე რაჲ თქუა, ყოვლად სახიერმან მან და მოწყალემან ღმერთმან გამოაბრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ სიბნელისა მისგან განთავისუფლდა მირიან“, – ვკითხულობთ ნაწარმოებში.

ერის სულიერი ცხოვრების უმთავრესი მომენტის – მზის ღმერთობის უარყოფისა და წმინდა სულიერი ნათლის აღიარების მაუწყებელია აღმოსავლეთისაკენ ხელაპყრობილი მეფის მხურვალე ღაღადისი: „ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და თაყუანისვსცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა!“

ხელმწიფის საბოლოო ფერისცვალების დამადასტურებელია მისი სიტყვები, მიმართული წმ. ნინოსადმი: „მოციქულო ჭეშმარიტისა ღმრთისაო, რომელსა შენ ჰქადაგებ, მას ვესავ!“

მირიან მეფის სულიერი მეტამორფოზა სრულიად ქართლის მოქცევის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. აშკარად გამოხატავს სამწყსოს განწყობას „ყოველი ერი“, რომელიც სიხარულით ეგებება მეფეს და, უფლის სასწაულით „განკვირვებული“, სასოებით განადიდებს შემოქმედს.

ჭეშმარიტი სარწმუნოების განმტკიცების სურვილითაა შთაგონებული მეფის განზრახვა, ააგოს ქრისტიანული ეკლესია, „ტაძარი ღმრთისა, სახლი შესაკრებელი ერისა, გვამი ქრისტესი და სძალი მისი წყლითა მით ნათლისღებისაჲთა განწმენდილი, და პატიოსნითა სისხლითა მისითა პკურებული, ვითარცა სძალი აღბეჭდილი და შემკული საცხებლითა მით სულისა წმიდისაჲთა“ („დიდი კურთხევანი“). ეს იქნება „ცა ქუეყანასა ზედა, რომელსა შინა დამკვიდრებულ არს ცათა შინა მყოფი ღმერთი“ (იქვე).

მირიან მეფე წმინდა ნინოს მიერ მითითებული ნიმუშის მიხედვით აგებს ღვთის სახლს, „რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტისაჲ“.

ადგილი, რომელსაც მირიან მეფე ღვთის სახლის ასაგებად სამეფო ბაღში („სამოთხეში“) წმ. ნინოს მითითებით ირჩევს, არის სიწმინდის სადგური, რომელმაც ღვთისშვილთ სამოთხისკენ მიმავალი გზა უნდა გაუნათოს.

გარდასულ დღეთა მძაფრი სუნთქვა შეიგრძნობა „ნინოს ცხოვრების“ იმ ეპიზოდში, რომელშიც სასწაულთმოქმედი კვიპაროსის (სხვა ვარიანტით – ნაძვის) მოკვეთისა და მისგან „შემზადებული“ სვეტის აღმართვის შესახებ არის მოთხრობილი. მკითხველი თითქოს თვალნათლივ ხედავს, როგორ ამაოდ ცდილობენ შიშით ზარდაცემული მეფე და „ყოველი ერი“ სვეტის აღმართვასა და თავის საძირკველზე დაფუძნებას. „ენება აღმართებაჲ და ყოვლად ვერ უძლეს შეძვრად“, ამიტომ „განკვირვებულნი და გულკლებულნი“ წავიდნენ „სახიდ თვისად“, – ვკითხულობთ ნაწარმოებში.

ეჭვმიუტანელ ფაქტად აღიქვამს მკითხველი „ნათლითა შემოსილი“ ჭაბუკის მიერ სვეტიცხოვლის აღმართვისა და „ხარისხსა თვისსა“ დამყარების სასწაულებრივ მომენტს: „აჰა, ვიხილე სუეტი იგი ცეცხლის-სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თვისსა. და ვითარ დაემართა და დადგა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა, და ნელიად ჩამოიცვალებდა თვისსავე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი“, – გვიამბობს აბიათარ მღვდლის ასული სიდონია („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ეს იყო საკვირველთმოქმედი სვეტი, რომელიც „გამოსცემდა ბრწყინვალებასა და ფრიად სულნელებასა“. იგი სასწაულებს ახდენდა და ამით კიდევ უფრო განამტკიცებდა რწმენას იმისას, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ჭეშმარიტი რჯულის განვრცობა უფლის ნება გახლდათ.

ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა „ნინოს ცხოვრებაში“ გააზრებულია, როგორც ერის სულიერი არჩევანი, რომელმაც მისი მარადიული არსებობა უნდა განსაზღვროს. თხზულებაში აშკარად იგრძნობა მირიან მეფის სწრაფვა, მტკიცედ დაუკავშირდეს ქრისტიანულ სამყაროს, და ამით ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის საძირკვლად ჭეშმარიტი სარწმუნოება აღიაროს. შორს არის გამიზნული მისი გადაწყვეტილება, მოციქულები მიავლინოს ახლად ნათელღებულ საბერძნეთში და მოძღვართა და მასწავლებელთა გამოგზავნა სთხოვოს კონსტანტინე იმპერატორს, რათა ეროვნული ღვთისმსახურება იმთავითვე მსოფლიო ეკლესიის გამოცდილებასა და ტრადიციებზე დააფუძნოს.

„ნინოს ცხოვრების“ ქვეტექსტში გარკვევით ამოიკითხება ის აზრი, რომ ქართლის მკვიდრთა ქრისტეს რჯულზე მოქცევა ბიზანტიის ინტერესებსაც შეესაბამება. არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, რომ „ნინოს საქმეჲ გამოიძია ჰელენე დედოფალმან. წერილში მან დედოფლობით და მოციქულობით და მახარებლად“ მოიხსენია წმ. ნინო. „ნინოს ჰელნე სურვილით უწოდა დედოფლად და თვისსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“, – გვიამბობს თხზულების ავტორი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ბიზანტიის ეკლესიის თანადგომა ხდება წინაპირობა არა მარტო სამეფო სახლის, არამედ სრულიად საქართველოს მკვიდრთა ნათლისღებისა: „ამისა შემდგომად ნათელ-იღეს მეფემან და დედოფალმან შვილითურთ მათით და ყოველთა მთავართა და ურიცხუმან სიმრავლემან ერისამან“.

ჭეშმარიტი აღმსარებლობით შეკავშირებულ მსოფლიოსთან მჭიდრო კავშირურთიერთობისაკენ სწრაფვის მოტივი „ნინოს ცხოვრებას გამჭოლ ნაკადად გასდევს. თვალში საცემია ურთიერთობა არა მარტო ბიზანტიის, არამედ იერუსალიმის ეკლესიასთანაც. ამ კავშირის მანიშნებელია თუნდაც სვეტიცხოვლის ტაძრის ორგვარი სახელწოდება: „სიონი“ და „მოციქულთა“. ასე იწოდება წმ. ქალაქის ის ეკლესია, რომელიც კონსტანტინე დიდმა სიონის ბორცვზე ააგო. გადმოცემის თანახმად, აქ იდგა ის სახლი, რომელშიც მოციქულებზე სულიწმიდა გადმოვიდა.

იერუსალიმურ სამყაროსთან კავშირი ნაწარმოებში გააზრებულია, როგორც უშუალო გაგრძელება იმ ძველთუძველესი კონტაქტისა, რომელიც ქართლსა და პალესტინას შორის ოდითგანვე არსებობდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართველ ებრაელებს მცხეთაში საკუთარი საეკლესიო იერარქია გააჩნდათ. „საქართველოს ებრაელთა უმთავრესი სასულიერო გამგეობა მცხეთაში იჯდა“ (ზ. ჭიჭინაძე).

„ნინოს ცხოვრებიდან“ აშკარად ჩანს, რომ ტერიტორიული სიშორე ხელს არ უშლიდა მცხეთელებს, უწყვეტი კავშირურთიერთობა ჰქონოდათ იერუსალიმთან. გოლგოთის მისტერიის კვირაძალზე, როცა დედამიწის ყოველ კუთხეში გაფანტულ ებრაელებს (მათ შორის მცხეთელებსაც) პალესტინაში მოუხმეს, მცხეთელმა ურიებმა იერუსალიმში გაგზავნეს მოხუცებული ელიოზი – „კაცი ბრძენი და მეცნიერი“, რომელიც დაესწრო ჯვარცმას და წილხვდომილი კვართი ქრისტესი საქართველოში ჩამოიტანა. სწორედ ამ კვართის სამარხზე აღიმართა სვეტიცხოველი, რომელმაც სულიერად შეამჭიდროვა და შეაკავშირა ვაზის ჯვრით კურთხეული, წმინდა აიზმით ნათელღებუ-

ლი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

„ნინოს ცხოვრება“ ჩრდილოის ქვეყნის ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევის აპოლოგიაა. ნაწარმოების ყოველ სტრიქონში ისმის ქებათა ქება ქართველთა განმანათლებლისა, რომლის ქადაგების ძალითაც „ქართლოსიანებმა მისცეს კერპნი მათნი ცეცხლსა დასაწუველად და მოიქცეს ცთომათა მათთაგან, და მოიღეს ნათელი და თაყუანის-ცემაჲ წმიდისა ჯუარისაჲ.

„ნინოს ცხოვრებაში“ აღწერილი ეპოქა არის ხანა საქართველოში სულიერი ნათლის დამკვიდრებისა, რომელმაც მთელი მისი მომავალი განსაზღვრა.

III. ბიბლიური სახე-სიმბოლოები (***ჯვარი ვაზისა, მაყვლოვანი, კერპების მსხვრევა, მთა, მზის დაბნელება, კვართი ქრისტესი, სამოთხე, ეკალი, თვალი პატიოსანი)*** „ნინოს ცხოვრებაში“

ჯვარი ვაზისა

კაბადოკიელ ასულს, რომელიც ქართველ ხალხს მოციქულთა სწორ განმანათლებლად მოევლინა, ხელს ვაზის ჯვარი უმშვენებდა. ღვთისმშობლის მიერ შექმნილი ეს სიწმინდე ღვთაებრივი ძალით არის მოსილი.

ვაზის ჯვარი ამხნევებს და ასალკლდევებს ქალწულს ხიფათით აღსავსე გზაზე. მისი წყალობით გადალახა „ჭირნი დიდნი... და შიშნი მხეცთაგან“, მისმა სასწაულთმოქმედმა ძალამ გადაარჩინა სომხეთში ისეთ საშინელ განსაცდელს, როგორიც მის თანამგზავრებს – რიფსიმესა და გაიანეს – ხვდათ წილად.

იდუმალი კავშირი ზეგარდმო ძალასთან ხელშესახებად არის გამოვლენილი იმ ჩვენებაში, რომელსაც წმ. ნინო უდიდესი სულიერი შეჭირვების ჟამს ნახულობს. როცა რიფსიმე და გაიანე „იწამნეს“, „ეკალთა შინა ვარდისათა“ შთენილმა ასულმა იხილა „კუამლი სურნელოვანი... და ერი იგი ზეცისაჲ, რომელი შეიერთებდეს სულთა მათ წმიდათასა“. ზეციური ხმაც ესმა, რომელმაც აღმოსავლეთისაკენ მოუწოდა, რათა მის „გარემოის“ მომძლავრებული ეკალი ქმნილიყო „სულნელ და ვარდ მეწამულ მის მიერ“.

ცნობილია, რომ აღთქმულ ქვეყანაში მიმავალ მოსეს გზას სასწაულთმოქმედი კვერთხი უკაფავდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წმ. ნინოს მოგზაურობაში ვაზის ჯვარმა ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც კვერთხმა – მოსეს ხიფათით აღსავსე თავგადასავალში.

ისიც ცნობილია, რომ კვერთხის სახით მოსეს წინ თვით მაცხოვარი მიუძღოდა.

ვაზის ჯვრის სახით წმ. ნინოსაც უფალი ჰყავს შემწედ და წინამძღოლად.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, რომელიც „ძილსა შინა“ გამოეცხადა წმ. ნინოს, აღუთქვა მას, რომ ვაზისაგან გამოკვეთილი ჯვრის ძალით იგი ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას შეძლებდა. „წმიდამან მარიამ ხელი მიჰყო ზედა კერძო ცხედარისა მისისასა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა, და მოჰკუეთა მისგან, და შექმნა ჯუარი და მისცა ხელთა ქალწულსა მას, და ჰრქუა: „ესე იყოს მცველი შენი, და ამით სძლო ყოველთა წინააღმდგომთა შენთა, და წარემართოს ქადაგებაჲ შენი, და მე ვიყო შენ თანა, და არა დაგიტეო შენ“.

ის ფაქტი, რომ ღვთისმშობელმა რტო „ზედა კერძო ცხედარისა მისისასა“ მყოფი ვაზისაგან მოკვეთა, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ვაზის ჯვარი ზეციური ვაზის ნასხლავისგანაა შექმნილი. აქ „ზედა“ სულიერ იერარქიას გამოხატავს და სიმბოლურად თავად იესო ქრისტეს შეესატყვისება, რადგან ღვთისმშობელზე მაღლა არავინ შეიძლება იგულისხმებოდეს, გარდა ქრისტესი.

ამ აზრს განამტკიცებს ახალი აღთქმა, რომლის თანახმადაც ვაზი, ვენახი ქრისტეს სიმბოლოა. „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჲ ჩემი მოქმედი არს... მე ვარ ვენახი და თქუენ – რტონი, რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე – მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი“, – ამბობს მაცხოვარი (იოანე, 15, 1; 5).

ამ სიტყვებში ის აზრია გატარებული, რომ მორწმუნე (რტო) თავისი ყოველი ქმედებით ქრისტეს მოძღვრებას (ვენახს) უნდა დაეყრდნოს, რამეთუ „თვინიერ ქრისტესი არა-რაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (იქვე).

ბიბლიური სიმბოლიკის თვალთახედვით, ქრისტე ის ჭეშმარიტი ვენახია, რომელმაც კაცობრიობის გამოსახსნელად საკუთარი სიცოცხლე, საკუთარი სისხლი („ტევანი“) გაწირა.

არ არის შემთხვევითი, რომ ქრისტიანული სარწმუნოების უდიდესი საიდუმლო – წმინდა ზიარება – მტევნის ნაჟურით ხდება. ვაზი ერთადერთი მცენარეა, რომლის ნაყოფისგანაც სასწაულთმოქმედი სასმელი მიიღება. ქრისტეს სისხლად გარდაქმნა მხოლოდ ღვინოს შეუძლია. ამიტომაც ღებულობენ მართლმორწმუნენი ზიარებისას ღვინოს, ნიშნად მაცხოვრის დათხეულ სისხლთან ზიარებისა.

ამდენად, ვაზის ჯვარი ღვთაებრივი წარმოშობისაა. იგი შექმნილია თავად ღვთისმშობლის მიერ და ამავე დროს, უშუალოდ მაცხოვრისგან მომდინარეობს. ამ ჯვრის სახით წმ. ნინოს უფალი ჰყავს მფარველად და თანამდგომად. ამ ჯვრით ნათლავს იგი ქართველებს, ე. ი. ამ ჯვრით შეაქვს ხალხში ნათელი.

ჯვარი ვაზისა წმ. ნინომ თავისივე თმებით შეკრა. ძველთუძველესი წარმოდგენით, თმა მზის სხივის განსახოვნებაა, მზე კი ქრისტიანული სიმბოლიკით, ღვთაებას განასახიერებს. ვაზის თმებით შეკვრა მზისა და ვაზის ერთიანობას მოასწავებს. ვაზი, ვენახი მზით არის აღვსილი ისევე, როგორც ძე ღვთისა – ღვთაებრიობით. როგორც ვენახი ხარობს მზის ბრწყინვალებით, ასევე ბრწყინავს მაცხოვარი ღვთაებრივი ნათლით – ამგვარად შეიძლება გავიაზროთ ვაზის ჯვრის სიმბოლიკა „ნინოს ცხოვრებაში“.

ნინოს ჯვარი დღესაც ინახება თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, როგორც უძველესი და უწმინდესი რელიკვია – სიმბოლო ღვთივკურთხეული ქართველი ერის მარადიული უკვდავებისა.

მაყვლოვანი

„ნინოს ცხოვრებაში“ ყურადღებას იპყრობს ქართველთა განმანათლებლის მაყვლოვანში დაბინავებისა და „მუნ ლოცვის“ საკითხი. რატომ დამკვიდრდა წმ. ნინო მაყვლოვანში, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ ველურ, ეკლიან ბუჩქს ნაწარმოებში?

მაყვლოვანი, რომელშიც წმ. ნინომ ექვსი წელი გაატარა, არის სულიერი თავშესაფარი, რომელიც მისი ლოცვით ღვთაებრივი მადლით ივსება. მაყვლოვანს შეფარებული, დღემუდამ ლოცვად მუხლმოყრილი, იგი მალულად მკურნალობდა ავადმყოფებს, სულიერ და ფიზიკურ ტკივილს უმსუბუქებდა მათ. „ჰკურნებდა სნეულთა... და ქადაგებდა ღმერთსა ჭეშმარიტსა“. დედოფალი ნანა, რომელიც „ბოროტთა სენითა შეპყრობილ იყო“, მან თავისი ლოცვის ძალით გააჯანსაღა „და ყოვლითურთ განკურნებული წარავლინა სახიდ თვისად“. აქვე განკურნა წმინდა ნინომ ნანა დედოფლის „დედისა ძმაჲ, მრავალთა წელთა ვნებული“.

მაყვლოვანი, წმ. ნინოს თავშესაფარი და სამლოცველო ადგილი, ნინოს მიერ დამოწაფებულ დედათა, პირველ მცხეთელ ქრისტიანთა შესაკრებელ ადგილად არის ქცეული. მზის ანაზდეული დაბნელებით შეძრწუნებული, მერე კი ღვთის სასწაულით გონებაგანათებული მირიან მეფე თხოთის მთიდან პირდაპირ მაყვლოვანს მიაშურებს. მის მიერ ქრისტეს საჯარო თაყვანისცემა მაყვლოვანში ხდება. „მოდრკა მეფეი... და ეტყოდა ნინოს: „მოციქულო ჭეშმარიტისა ღმრთისაო, რომელსა შენ ჰქადაგებ, მას ვესავ!“ და ევედრა, რაჲთა უჩუენოს სახე ეკლესიისაჲ“. მირიან მეფის სურვილი, ქრისტიანული ტაძარი მაყვლოვანში ააშენოს, ღვთის ნების გამოხატულებაა, რადგან ეს ადგილი, როგორც ქრისტიანთა შესაკრებელი, ეკლესიის აშენებამდევე ეკლესიას მოასწავებდა (ეკლესია – შესაკრებელი /საბა/).

წმ. ნინოს მაყვლოვანში დაბინავება ღრმა სიმბოლური აზრით არის დატვირთული. ქრისტიანული სახისმეტყველების თანახმად, მაყვლოვანი ღვთისმშობელს განასახიერებს.

ქართველთა განმანათლებლის „შორის მაყუალთა მათ“ დაბინავება არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ განგების ნება, რადგან მაყვლოვანის სახით მისი თავშესაფარი, მისი სულიერი სადგური ღვთისმშობელი ხდება.

მაყვლოვანი რომ საკრალური ადგილია, ამაზე აშკარად მეტყველებს ის საოცარი სიფრთხილე,

რომელსაც მეფე მირიანი ამ, ერთი შეხედვით, ველური ბუჩქის მიმართ ავლენს. როცა აქ „ზემო ეკლესიის“ დაფუძნება გადაწყდა, მისი მოთხოვნით მაყვლოვანი ხელუხლებლად იქნა დაცული, მაყვლის ერთი ფურცელიც კი არავის დაუზიანებია, რადგან მასში სასწაულთმოქმედ მცენარეს ხედავენ და არა ჩვეულებრივ ბუჩქს.

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ძველი და ახალი აღთქმისეული ორი სიწმინდე – მაყვლოვანი და ვაზი განუყოფელია. მათი სიმბოლიკის გაცნობიერება შესაძლებლობას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ წმ. ნინოს, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ყოვლადწმინდა მარიამის ნებით მოევლინა, ვაზის ჯვრის სახით წინ მაცხოვარი უძღოდა, მაყვლოვანის სახით კი დედაღვთისა იფარავდა. ამიტომ შეძლო მან შეუძლებელი. ამიტომ მიმართავენ მას მართლმორწმუნე ქრისტიანები: „დედისა ღვთისა მიერ ქუეყანასა ამას ჩუენსა მოვლინებულმან და წმიდათა ხელთა მისთა მიერ ჯვარისა ვაზისა მიმღებელმან, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეჰკრიბე და მიჰგვარე ქართველნი ღმერთსა ჭეშმარიტსა, დედაო, წმიდაო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის (წმ. ნინოს ტროპარი).

კერპების მსხვრევა

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, IV საუკუნის საქართველო არის „საწარმართო ქუეყანაჲ“, სადაც ცხოვრობს „ერი უცხოჲ, უცხოთა ღმერთთა მსახური“. იგი „ჩრდილოის ქუეყანაა“, რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა ცოდვისასა და ველნი - ალმურსა ცთომისასა“, ამიტომაც იგი მოკლებულია სულიერ ნათელს.

ნაწარმოებიდან ცხადად ჩანს, რომ საქართველოს ფერისცვალებას დასაბამი დაედო მაშინ, როცა ნაცარ-მტვრად იქცნენ „კერპნი საძაგელნი, რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა თივასა, თიბდეს. კერპების გაცამტვერება „ნინოს ცხოვრებაში“ გააზრებულია, როგორც სიმბოლო ძველი სამყაროს განადგურებისა, რასაც ახალი, სულიერი ნათლის დამკვიდრება უნდა მოჰყვეს.

„ნინოს ცხოვრებაში“ წარმართული კერპების მსხვრევა ასეა აღწერილი: „დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ემოსა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროისაჲ, და თავსა მისსა აქუნდა ქვაჲ ბივრიტი და იაკინთოჲ, ხოლო ხელსა აქუნდა ხრმალი, რომელი, ვითარცა ელვაჲ, საზარელად იქცეოდა ხელსა მისსა. ხოლო მარჯუენით მისა დგა კაცი ოქროისაჲ, და სახელი მისი გაც, და კუალად მარცხენით მისა დგა კაცი ვეცხლისაჲ, და სახელი მის გაი.

იხილა რა ესე ყოველი ნეტარმან ნინო, აღიპყრნა ხელნი ზეცად და ცრემლით ევედრებოდა და იტყოდა: – უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, აჩუენე ძლიერებაჲ შენი და ყავ სასწაული, რაჲთა იხილონ ერთა ამათ მაცხოვარებაჲ შენი და შენ მხოლოი გიცნან ღმრთად ჭეშმარიტად და შენდა მხოლოისა შეწირონ დიდებაჲ და თაყუანის-ცემაჲ.

და ვითარცა სრულ-ყო ლოცვაი, მეყსეულად გამოჩნდა დასავალით ღრუბელი ბნელი, და ქარი ძლიერი, და იქმნეს ქუხილნი სასტიკნი, და ხმანი საზარელნი, და მეხის-ტეხანი შესაძრწუნებელნი. მეფე და მთავარნი და ერი იგი, ლტოლვილნი საშინელებისა მისგან, ურთიერთას დასთრგუნვიდეს და თითოეული სახიდ თვისა მირბიოდეს. ხოლო კერპთა მათ ზედა მოიწეოდა სეტყუაჲ თხრობად განსაკვირვებელი, რომელი, ვითარცა რკინისაჲ ანუ თუ რვალისაჲ, ეკუეთებოდა, ვიდრემდის სრულიად დამუსრნა და დააწულილნა, ვითარცა მტუერნი“.

საგულისხმოა, რომ კერპების მსხვრევა სწორედ ფერისცვალება დღეს, 6 (19) აგვისტოს მოხდა, ამდენად, ეს იყო განგებისმიერი, პროვიდენციული მოვლენა და არა შემთხვევითი ფაქტი: აქედან დაედო დასაბამი სრულიად ქართლის გაქრისტიანებას, მის ფერისცვალებას, მის ხელახლა დაბადებას, ცოდვის ნისლისაგან გათავისუფლებასა და ახალი, სულიერი ნათლის ზიარებას.

საგულისხმოა, რომ არმაზული ტრიადის (არმაზი, გაც, გაი) აღწერით „ნინოს ცხოვრების“ ავტორი ფერისცვალების წარმოსახვით სურათს აცოცხლებს.

მათეს სახარების თანახმად, როცა მაცხოვარმა თაბორის მთაზე ფერი იცვალა, მოწაფეებმა მასთან ერთად იხილეს წინასწარმეტყველნი: მოსე და ელია: „და შემდგომად ექუსისა დღისა წა-

რიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვისაგან.

და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.

და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანაზრახვიდეს“ (17, 1-3).

ამ იმაგინაციური (წარმოსახვითი) სურათის ასახვით ავტორი სიმბოლურად ნათელყოფს, რომ ფერისცვალების დღეს არმაზზე ცრუ ღმერთების გაცხადება ხდება, რის გამოც მათ ჭეშმარიტი ღმერთის სასტიკი რისხვა ატყდებათ და ისინი უმოწყალოდ ნადგურდებიან.

მთა

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით მირიან მეფე „კერპთა საძაგელთა“ თაყვანისმცემლად წარმოგვიდგება. იგი „ებნითა და ქნარითა და ხმითა ნესტვისაითა და მრავლითა სახიობითა განადიდებს არმაზის სალოცავს, „ღმერთთა ღმერთად“, უმაღლეს ღვთაებად აღიარებს მას.

წინაპართა სალოცავებისადმი რწმენა მეფეს არც მას შემდეგ შერყევია, რაც ეს კერპები განგების მიერ მოვლენილმა სტიქიამ „დამუსრნა და დააწულილნა“. ამიტომაა, რომ წმ. ნინოს „ურიცხუთა კურნებათა“ ძალას იგი არმაზსა და ზადენს მიაწერს და არა ჭეშმარიტ შემოქმედს: „ჰგონებდა მეფე, ვითარმედ ნინოს კურნებისა ძალსა მიანიჭებდეს კერპნი: არმაზ და ზადენ.“

იმის შეტყობამ, რომ ნანა დედოფალმა და მისმა ბიძამ ქრისტეს რწმენა აღიარეს, სასტიკად განარისხა მეფე. იგი „ბორგდა ფრიად ნინოისთვის და ნანა დედოფლისა“ და მკაცრი შურისგებით დაემუქრა მათ.

სწორედ ამ დროს მოუვლინა უფალმა მეფეს სასწაული, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართლის გაქრისტიანების ისტორიაში. მოვიგონოთ ეს ეპიზოდი: „დღესა ერთსა... აღხდა მეფე და განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო და მოვლო სანახები მუხნარისა და განვიდა მთათა ზედა თხოთისათა მაღნართა, რაჲთამცა მიხადნა ციხეთა მათ დიდთა ასპად და კასპად და უფლისციხედ, და განვიდა თხემსა მის მთისასა. და შუა სამხარ ოდენ დაბნელდა მის ზედა მზე და იქმნა ღამე უკუნი, ბნელი ფრიად. დაფარა ბნელმან არენი და ადგილნი იგინი“.

არმაზისა და ზადენის ამაო მოხმობით სასოწარკვეთილმა მეფემ „ხმა-ყო და თქუა: „ღმერთო ნინოისო, განმინათლე სიბნელე ესე და გამომიბრწყინვე მე ნათელი, რაჲთა აღვიარო სახელი შენი წმიდაჲ და გადიდებდე შენ“. ესე რაი თქუა, ყოვლად სახიერმან მან და მოწყალემან ღმერთმან გამოაბრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ სიბნელისა მისგან განთავისუფლდა მირიან. მეყსეულად აღდგა და აღიპყრნა ხელნი აღმოსავლით, ღაღად-ყო და თქუა: „ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და თაყუანის-ვსცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა!“ ამისა შემდგომად წარმოემართა სამეუფოდ თვისად ქალაქად“ და წმინდა ნინოს წინაშე საჯაროდ, ხმამაღლა აღიარა: „მოციქულო ჭეშმარიტისა ღმრთისაო, რომელსა შენ ჰქადაგებ, მას ვესავ!“

ამ ეპიზოდიდან აშკარად ჩანს, რომ მირიან მეფის მიერ ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობა და აღიარება, ანუ მისი სულიერი შობა მთას უკავშირდება. აქ მთა საკრალური შინაარსით დატვირთული სიმბოლური სახეა. ასეთი გაგება ბიბლიიდან მომდინარეობს.

ძველი აღთქმის თანახმად, მთა ის ადგილია, სადაც ღვთის რჩეულთ უფლის ხილვის შესაძლებლობა ეძლევათ. მამაზეციერი მოსეს სინას მთაზე გამოეცხადა „სუეტით ღრუბლისაითა“. აქ გადასცა მას სჯულის ფიცრებზე ამოკვეთილი ათი მცნება, რომლის წყალობითაც რჩეული ერი აღთქმულ ქვეყნაში შესვლის ღირსი უნდა გამხდარიყო. „ხოლო მთა სინა მკმოლვარე იყო ყოვლად გარდამოსვლისთვის ღმრთისა მის ცეცხლითა და აღვიდოდა კუამლი სახმილისა“, –ვკითხულობთ ძველი აღთქმის წიგნში. „გამოსვლათაჲ“.

გაბაონის მთაზე შესთხოვა ისუ ნავეს ძემ ღმერთს მზის შეჩერება და უფალმა შეუსრულა მას ეს თხოვნა: „და დადგა მზე საშუვალ ცასა, არა ვიდოდა დასლვად სრულიად დღის ერთის... ვითარმცა ისმინა ღმერთმან კაცისაჲ“, – გვიამბობს წიგნი „ისუ ნავესი“.

მორიას მთაზე გამოუცხადა თავისი წყალობა უფალმა აბრაამს: სამსხვერპლოდ გამზადებული

მხოლოდშობილი ვაჟის – ისააკის – სანაცვლოდ ტარიგი მოუვლინა მას.

ახალი აღთქმის მიხედვით, უფალმა იესო ქრისტემ თაბორის მთაზე იცვალა ფერი. „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გამობრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე 17, 2).

გოლგოთის მთაზე აღსრულდა ჯვარცმის მისტერია, რომლის წყალობითაც ცოდვით დაცემული კაცობრიობა განიწმინდა.

ელეონის მთაზე იხილეს ქრისტეს მოწაფეებმა უდიდესი სასწაული – მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ცად ამაღლება (ლუკა, 24, 50, 51).

აქედან გამომდინარე, თხოთის მთა, სადაც მირიან მეფემ მზის დაბნელება იხილა, არ არის ჩვეულებრივი მთა. ეს არის ქართველთა სინაი, სადაც ღვთის გამოცხადება, მისი ცხოველმყოფელი ძალის შეცნობა, მეფის სულიერი ფერისცვალება, მის მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარება ხდება. აქედან იღებს დასაბამს ბიბლიური მოსესთვის ღვთის მიერ ბოძებული ათი მცნების მემკვიდრე – ახალი აღთქმა, რომელმაც ქართლოსიანებს მარადიულ ნათელთან ზიარების შესაძლებლობა უნდა მიანიჭოს.

მირიან მეფეც ღვთისაგან გამორჩეული პიროვნებაა, რადგან ის, რაც მას გადახდა, მხოლოდ მადლმოსილს უნდა შემთხვეოდა. განგებამ მოახვედრა იგი თხოთის მთაზე მზის დაბნელების მომენტში, განგებამ მიიყვანა ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარებამდე, განგებამ მიაახლა მაყვლოვანში მლოცველ კაბადოკიელ ასულს, რომელსაც, თხოთის მთაზე მომხდარი სასწაული რომ არა, მის გარშემო შემოკრებილ პირველ ქრისტიანებთან ერთად მეფის საშინელი რისხვა ელოდა.

მზის დაბნელება

მზის დაბნელება ხდება 20 ივლისს, როცა მზე ლომის ზოდიაქოშია და მაქსიმალურად არის აღვსილი თავისი ძალითა და ცხოველმყოფელობით, რაც უკიდურესად აძლიერებს მეფის დაეჭვებას მის ღვთაებრიობასა და ძალმოსილებაში. მეფემ, რომლისთვისაც უმთავრესი და უპირველესი ღვთაება მზე გახლდათ, ამ დღეს განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნო ძალა „მზეთა მზის“, „მზისა მამზევებელი მზის“ – ჭეშმარიტი ღმერთისა, რომელმაც წყვდიადიდან გამოიყვანა და სულიერ ნათელს აზიარა იგი. მზის ხილვით მისთვის გამოჩნდა „მნათობი სიმართლისა იგი მზე განმანათლებლად თვისთა დაბადებულთა“, „მზე სიმართლისა და ხატი ბრწყინვალებაჲ ღმრთისა მამისა უხილავი“, „მზე იგი დაუღამებელი“, „მზე დაუვსებელი, რომელმან განდევნა ბნელი უღმრთოვებისაჲ“ (მიქაელ მოდრეკილი). ამიერიდან მან საბოლოოდ აღიარა „მზეი სიმართლისაჲ“, „ღმერთი ჭეშმარიტი და ღმერთი ღმერთთაჲ“ – ქრისტე და „მოიღო ნათელი და თაყუანის-ცემაჲ წმიდისა ჯუარისაჲ“, რაც სრულიად საქართველოს გაქრისტიანების წინაპირობად იქცა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ 20 ივლისი (2 აგვისტო), როცა მზის დაბნელება მოხდა, ელია წინასწარმეტყველის დღეა.

წინასწარმეტყველთა შორის ელია თეზბიტელი უდიდესი და უპირველესია. უფალმა ელია ცოცხლად აიტაცა ზეცაში და ამით მარადიული დროის მკვიდრად აქცია იგი (IV მეფ., 2, 11-12).

ელია მაცხოვრის წინასახეა („ელია – უფალი ღმერთი ჩემი“ – ასეთია ელია წინასწარმეტყველის სახელის საბასეული განმარტება), ფერისცვალების მისტერიის მონაწილე და ქრისტეს ღვთაებრიობის დამმოწმებელი (მათე, 17, 3); ესქატოლოგიური დროის – მესიის მეორედ მოსვლის მაუწყებლადაც ელია წინასწარმეტყველია მიჩნეული (მალაქია, 3, 23).

ელია წინასწარმეტყველმა თავისი მოსასხამი თავის მოწაფეს – ელისეს გადაუგდო მაშინ, როცა იგი თორმეტი უღელი ხარკამეჩით იორდანისპირა მინდვრებს ხნავდა (III მეფ., 19,19). შემდეგ, ცეცხლოვანი ეტლით სასწაულებრივად ამაღლებულმა, ზემოდან გადმოუგდო მას ეს მოსასხამი და ამით გადასცა განგებისმიერი უნარი, ორად გაეპო იორდანეს დინება და მშრალად გასულიყო მეორე ნაპირზე (IV მეფ., 2, 14), როგორც მასზე ადრე თავად შეძლო ამ ისტორიული სასწაულის მოხდენა (IV მეფ., 2,8).

ელიას ხალენის სასწაულებრივი ძალა არის სიმბოლო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველურ იმადლისა, რომელიც ერთი ადამიანისგან მეორეზე გადადის და თაობებს შორის მემკვიდრეობით კავშირს ამყარებს. „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ეს ხალენი მცხეთაში „საკურთხეველისა ქუეშე“ „ულპოლველად“ არის დამარხული და თავის ჟამს ელის, რათა ახალი სასწაული მოახდინოს. „არს სხუაჲცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი გიცა, ხალენი ელიაისი, ამას ქალაქსა შინა ხელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა,“ – მიმართავს აბიათარ მღვდელი თავის ასულს სიდონიას.

ელიას ხალენის ადგილსამყოფელი „ნინოს ცხოვრებაში“ წმინდა მიწის იმ ადგილთანაა გათანაბრებული, სადაც ბიბლიურმა იაკობმა ზეციური იერარქია იხილა. „ამას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერიდან და უკუნისამდე“, – აცხადებს აბიათარ მღვდელი.

აქედან გამომდინარე, „ნინოს ცხოვრების“ გამჭოლ მოტივად შეიძლება ჩაითვალოს მოლოდინი ჟამისა, როცა განგებისმიერი ძალა, რომლითაც ეს „ულპოველი“ სიწმინდეა აღჭურვილი, მცხეთის მიწაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნებით, მისი წყალობით გადმოვა (მოვიგონოთ, რომ იაკობის ჩვენებაში კიბე ღვთისმშობელს განასახიერებს).

ამ მოლოდინის აცხადებაა 20 ივლისს (2 აგვისტოს) – ელია წინასწარმეტყველის დღეს მომხდარი სასწაული, რომლის წყალობითაც მირიან მეფის მიერ ხილული ნათელი იმ „დაუვსებელი ნათლის“ წინამორბედად იქცა, რომელიც მალე სრულიად საქართველოს მოეფინა.

კვართი ქრისტესი

ცნობილია, რომ მცხეთის ებრაული დიასპორის იმავე საგვარეულოს წარმომადგენელმა, რომელმაც ექვსი საუკუნით ადრე ელიას ხალენი დაფლა მცხეთაში, მაცხოვრის კვართიც საქართველოს ძველ დედაქალაქში ჩამოიტანა.

უფლის კვართის წილხვდომილობის შესახებ იოანეს სახარება გვიამბობს: „და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს აცვეს იესო, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაითა აღესრულოს წერილი იგი: „განიყვეს სამოსელი ჩემი... და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (19, 23-24).

„წერილი იგი“ ბიბლიურ დავით მეფეს ეკუთვნის. დიდი წინასწარმეტყველი 21-ე ფსალმუნში წერს: „გარე მომადგეს მე ძაღლებრ მრავალ და კრებულმან უკეთურთამან გარემომიცვა მე. განხურიტნეს ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. და აღრიცხეს ყოველი ძუალები ჩემი. მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე. განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი (21, 16-18).

დავით ფსალმუნთ მგალობლის წინასწარმეტყველება ძველი აღთქმისათვის ნიშანდობლივი წინასახეობრივი აზროვნების ნათელი გამოხატულებაა. ამ ნათელმხილველური სიტყვების აცხადება. წილისყრაში მცხეთელ ებრაელთა მონაწილეობა და მაცხოვრის კვართის საქართველოში ჩამოტანა ამ ფაქტის პროვიდენციულ ხასიათზე მეტყველებს. მაცხოვრის კვართისა და ელიას ხალენის დაფვლის ადგილების სიახლოვეც განგების ნების გამოცხადებად აღიქმება. როგორც ელია წინასწარმეტყველი მოდის უფლის წინამორბედად, რათა მას გზა განუმზადოს (მალ., 5,4), ასევე მისი ხალენი წინ უძღვის უფლის კვართს. ეს ორი სიწმინდე არის წინაპირობა მირიან მეფის მოქცევისა, რაც, თავის მხრივ, სრულიად საქართველოს ნათელღების მომასწავებელი ხდება.

წმ. ნინო მირიან მეფესთან საუბარში სრულიად არაორაზროვნად აცხადებს: „არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი“. ქალწულისათვის ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „კვიპაროზი საკვირველი“ კვართის სამარხზეა ამოზრდილი და უფლის ცხოველმყოფელი ძალა მცხეთელთათვის სწორედ ამ კვიპაროსის მეოხებით გახდება ხილული. მაშასადამე, ამ ხისაგან გამოკვეთილი სვეტის ცხოველმყოფელობა, „ბრწყინვალება და სულნელება“, მის მიერ მოხდენილი სასწაულები და კურნებანი, რაც ქართლის გაქრისტიანების გადამწყვეტ

მომენტად იქცა, ძველი აღთქმიდან მომდინარე წინასწარმეტყველების აცხადების უტყუარი საბუთია.

მრავლისმთქმელია ისიც, რომ კვართი უფლისა იყო „უკერველ, გამოქსოვილ ყოვლად“ (იოანე), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი იყო. ღვთის ნებით, ასეთი სახით მკვიდრდება იგი საქართველოში ნიშნად იმისა, რომ „საზეპურო ერი“, მსგავსად მის წიაღში დაცული სიწმინდისა, სამარადჟამოდ, მესიის მეორედ მოსვლამდე, სარწმუნოებრივად მთლიანი, გაუთიშავი და დაუნაწევრებელი იქნება.

სამოთხე

მცხეთაში ჩამოსული წმ. ნინო სამოთხეში მკვიდრდება. „მესამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივმართე სამოთხესა მას მეფისასა“, – გვიამბობს იგი.

აქ გამოეცხადა მას „კაცი ნათლისა ფერი“, რომლის სწავლებითაც თავისი პირველი სასწაული მოახდინა: „ჩუენებით ვხედევდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მრქუა მე: „სამოთხესა შეევედ, ნაძუთა ქუეშე ბაბილოთა ადგილი არს მცირეი საყუარელად შემზადებული. მინაჲ აღიღე ადგილისა მისგან და შეაჭამე კაცთა მაგათ და ესუას შვილი“. ხოლო მე ვყავ ეგრეით და ესხნეს ძეებ და ასულებ მრავლად“, – მოგვითხრობს იგი.

აქვე იხილა წმ. ნინომ ჩვენება, რომელიც წინასწარ მოასწავებდა სამეფო ბაღის ქართველთა ემბაზად გარდასახვას და ამ ბაღში ამოზრდილი სასწაულთმოქმედი ხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ერის სულიერ ცხოვრებაში.

„და მათვე დღეთა შინა ორგზის და სამგზის ვიხილე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუხლთა ზედა: მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულდებიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხეი იგი, გარე მომადგიან ჟღავილით და ხმობედ ჩემდა მომართ. და მრავალგზის იყო ესე“.

ამ ჩვენებაში წინასწარმეტყველურადაა წარმოსახული ერის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტი – ქართველთა ნათლისღება („მფრინველნი ცისანი შთავიდიან მდინარესა და დაიბანნიან“) და წმინდა ზიარება („ბაბილოსა მას მოისთულდებიან“...), რაც სწორედ „სამოთხესთან“ არის დაკავშირებული.

„სამოთხის“ განსაკუთრებულობა პროვიდენციულადაა განსაზღვრული. აქ არის დაფლული უფლის კვართი, რომელზედაც სასწაულთმოქმედი კვიპაროსი (ნაძვი) ხარობს. ეს ხე დაედო საძირკვლად პირველ ქრისტიანულ ტაძარს, რომელმაც ქართველთა ახალ სარწმუნოებაზე მოქცევას დაუდო დასაბამი. ამდენად, „სამოთხე“, მართლაც, სამოთხეში – ზეციურ სასუფეველში დამკვიდრების გზის გამკაფავად იქცა და ერის საუკუნო მომავალიც მასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

ეკალი

ეკალი ცოდვით დაცემის სიმბოლური სახეა. იგი სათავეს ბიბლიიდან იღებს. „სახედ და ხატად თვისად“ ქმნილი პირველი ადამიანები არსთა გამრიგემ სამოთხეში დაამკვიდრა. ედემში უფალს ეკალი არ გაუჩენია.

ქვეყნად ცოდვის გამეფება ეკლის აღმოცენებით აღინიშნა. სამოთხიდან განდევნილ ადამს უფალმა წილად ხენეში ეკალი არგუნა: „რამეთუ სჭამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამაჲ... წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. ეკალსა და კუროისთავსა აღმოგიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა“, მიმართავს უფალი ადამს (შესაქმე, 3, 17-18).

ცოდვით დაცემული ადამის მოდგმას განასახიერებს ეკალი ახალ აღთქმაშიც. „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო

შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“, – მოძღვრავს მოწაფეებს მაცხოვარი და დასძენს: „ნუუკუე შეკრბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროისთავთაგან – ლეღვი?“ (მათე, 7, 15-16).

აქ უკეთური ძალები – ცრუწინასწარმეტყველნი, ცხვრის ტყავში გახვეული მგლები ეკალში არიან სიმბოლიზებულნი.

მათეს სახარებაში მაცხოვარი მოციქულებს უამბობს იგავს მთესველზე, რომლის ნათესსაც ეკალი აშთობს. „და სხუაჲ იგი [თესლი] დავარდა ეკალთა შორის, და აღმოცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი“ (13, 7).

თავად მაცხოვარი ამ იგავს ასე განმარტავს: „რომელი ეგე [თესლი] ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინოს და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის“ (მათე, 13, 22).

აქ თესლი ქრისტეს მცნებებია, ხოლო ეკალი – წუთისოფლის საზრუნავი და სიმდიდრის მოხვეჭის საცდური, რომელიც უფლის სიტყვას ახშობს.

ეკლის გვირგვინი მაცხოვარმა საკუთარი სისხლით განბანა, რაც კაცობრიობის ცოდვათაგან განწმენდას, ცოდვის მეუფების დამხობას, მასზე გამეფებას მოასწავებს.

ეშმაკთან წილნაყარი მურმანის საფლავზე ამოსული ეკალი ჯოჯოხეთს განასახიერებს, აბესალომისა და ეთერის საფლავზე აღმოცენებული ია და ვარდი – სასუფეველს.

ქრისტიანული გაგებით, ყოველი მოკვდავის ცოდვა ეკალია და იმ ეკლის გვირგვინს ემატება, რომელსაც ცოდვილი კაცობრიობა უფალი იესო ქრისტეს თავზე დასადგმელად განამზადებს.

საქართველოში შემოსული წმინდა ნინო მაყვლოვანში დაბინავდა. მაყვალი, ეს ეკლიანი მცენარე, ცოდვით დამძიმებულ, სულიერი ნათლისაგან განძარცვულ ქვეყანას განასახიერებს. ნაწარმოების მიხედვით, წარმართული სარწმუნოება საქართველოს ეკალხლართივით აქვს მოდებული. ქვეყანა ისეა დაბურდული ეშმაკეული ძალებით, როგორც მცხეთის გარეუბანში არსებული მაყვლოვანი – „ბრძამლითა“ და ეკალ-ბარდით.

მცხეთაში შემოსული წმ. ნინო მაყვლოვანში მკვიდრდება, მაშასადამე, IV ს-ის საქართველოში ქრისტიანული რწმენა მაყვლოვანიდან იწყებს აღორძინებას. ქრისტიანული ტაძარიც მაყვლოვანის ადგილზე შენდება. რადგან ქრისტიანობა წარმართობის წიაღში აღმოცენდება, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეკლიანი მაყვლოვანი ცოდვით დამძიმებულ, ცოდვის მორევში ჩაფლულ წარმართობას განასახიერებს. აქედან გამომდინარე, უფლის სიტყვები: „ესრეთ იყოს წარყვანებაიცა შენი, ოდეს-ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოს არს, იქმნას ვარდის ფურცელ და სულნელ შენ მიერ“ – ასე შეიძლება გავიაზროთ: ეკალი, რომელიც წმ. ნინოს „გარემოის არს“, ცოდვით დაცემულ „საწარმართო ქვეყანას“ აღნიშნავს, „სულნელი ვარდი“ კი, რომლადაც წმ. ნინოს მიერ ეკალი უნდა გარდაისახოს – ჭეშმარიტი სარწმუნოებით ნათელღებულ, სულიწმიდის მადლით მოცულ სამწყსოს.

მრავლისმთქმელია, რომ წმ. ნინოსათვის „ჟამი დღისა დალევნისაჲ და მზისა დავსებისაჲ“ მაშინ დადგა, როცა „სრულყო ქადაგებაჲ ჭეშმარიტებისაჲ და აღასრულა სრბაჲ ღუაწლისა თვისისაჲ“, როცა ქართველებმა „მოიღეს ნათელი და თაყუანის-ცემაჲ წმიდისა ჯუარისაჲ“, ე.ი. მაშინ, როცა „ეკალი, რომელი იყო გარემოს მისა, იქმნა ვარდის ფურცელ და სულნელ მის მიერ“.

თვალი პატიოსანი

არმაზის კერპი – „კაცი ერთი სპილენძისაჲ“ ძვირფასი თვლებით იყო შემკული. „ემოსა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროისაჲ და თავსა მისსა აქუნდა ქვაჲ ბივრიტი და იაკინთოჲ“. კერპების დამხობის შემდეგ გადარჩა ერთადერთი თვალი ბივრიტი, რომელიც კლდის ნაპრალს შეფარებულმა წმ. ნინომ ნამსხვრევებს შორის იპოვა და თან წაიღო: „ხოლო ვითარცა იქმნა მყუდროებაჲ და განწმდა ჰაერი... წმიდამან ნინო პოვა ბივრიტი, თუალი კერპისაჲ, აღდგა და წარმოიღო“.

არმაზი წარმართული ღვთაებაა. ნაწარმოების მიხედვით, წარმართული საქართველო წყვდიადით მოცული ქვეყანაა, „რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა ცოდვისასა და ველნი – ალმურსა ცთომისასა“. ქრისტიანული სარწმუნოების სახით მას უპირისპირდება „ნათელი ჭეშმარიტი“, „მზეჲ სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ქუეშე ფრთეთა მისთა“ (ი. საბანისძე).

ქრისტიანობასთან ჭიდილში ძველი სარწმუნოება არარაობად იქცა. „ახალი ღმერთის“ ძალა რისხვად მოევლინა ძველ რწმენას და დალეწა, დააქცია მისი მატერიალური განსახოვნება – წარმართული კერპ-სალოცავები. არ გაწირა მხოლოდ ბივრიტ-ბივრილი – ერთადერთი თვალი პატიოსანი, რომელიც წმ. ნინომ, ვითარცა ღვთიური საბოძვარი, მაყვლოვანს შეაფარა.

ბივრიტი ბიბლიური იაკობის უმცროსი შვილის – იოსების თვალია. იგი მოასწავებს „ყუდროებასა და სიმშვიდესა და სიწმიდესა იოსებისსა. ძმების მიერ გაყიდულ-გამეტებული იოსები, რომელიც ფარაონის კარზე განდიდდა და თავის გამყიდველ ძმებს მხსნელად მოევლინა, არის წინასახე ქრისტესი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მოძმეებმა ჯვარცმისა და წამებისათვის გაიმეტეს, მათი ცოდვები იდო კისრად და იხსნა კაცთა მოდგმა.

ნინოს მიერ ნაპოვნმა თვალმა მის ლოცვას ღვთაებრივი ძალა უნდა შესძინოს, რათა ქართველთა მხსნელისა და მფარველის როლი იკისროს და წარწყმედისაგან გადაარჩინოს ისინი.

ღვთიური თვალი ბივრიტი ამავე დროს „მოასწავებს ასულთა, რომელთა ნათესავისაგან შობად იყო ქრისტე“. ამდენად, იგი ღვთისმშობლის წინასახეცაა.

საყურადღებოა, რომ „თუალი ბივრიტი... ედგმის გვირგვინსა და სამკაულსა დედათა და შთაიდგმის ბეჭედთაცა ხელმწიფეთასა“.

წმ. ნინო, როგორც ღვთიური შარავანდედით მოცული არსება, სიმბოლურად ბივრიტით შემკული სადედოფლო გვირგვინის მფლობელია. მან ეს თვალი, ვითარცა იოსების განსახოვნება, ხელმწიფეთა – მეფისა (მირიანის) და დედოფლის (ნანას) სულიერ სამკაულებად უნდა აქციოს. ამ ძვირფასი თვლის აზრობრივი დატვირთვა მით უფრო მრავალმნიშვნელოვანია, რომ იგი ნაზარეთის მახლობლად მოიპოვება.

ევანგელური გაგებით, ძვირფასი თვალი ქრისტეს მოძღვრების სიმბოლური განსახოვნებაა. მათეს სახარების თანახმად, ცათა სასუფევლის ღირსი ხდება მდიდარი ვაჭარი, რომელმაც მთელი თავისი ქონება გაყიდა და ერთადერთი ძვირფასი თვალი – „მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ“ შეიძინა (რ. დევდარიანი, ქრისტიანული მწერლობის საკითხები – „ნინოს ცხოვრება“, ქუთაისი, 2002 წელი).

[შენიშვნა: ბიბლია (ბერძ. სიტყვასიტყვით – „წიგნები“) ქრისტიანული საღვთო წიგნების კრებული. შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. ქრისტიანობა აღიარებს მთელ ბიბლიას, იუდაიზმი — მხოლოდ ძველ აღთქმას. **ძველი აღთქმა მოიცავს 39 წიგნს** და რამდენიმე ნაწილად იყოფა: **მოსე წინასწარმეტყველის ხუთწიგნეული** (ებრაულად — **თორა,** ანუ **კანონი**); **წინასწარმეტყველნი** (მეფეთა წიგნები, ესაიას, იერემიას, იეზეკიელის და სხვათა წინასწარმეტყველებანი); **დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნნი“; „იგავნი სოლომონისნი“, „ქება ქებათა“, „ეკლესიასტე“, იობის წიგნი** და სხვა. ბიბლიის წიგნები სხვადასხვა დროს იქმნებოდა ებრაულ ენაზე. უძველესს XII საუკუნით (ქრისტემდე) ათარიღებენ, ხოლო უახლესს — II საუკუნით (ქრისტეს აქეთ). ითარგმნა სხვადასხვა ქრისტიან ერთა ენებზე. ქართული ბიბლიის უძველესი ტექსტი დაცულია ოშკის ხელნაწერში (978 წ.). ბიბლიის ქართული თარგმანის ადრინდელი ფრაგმენტები მოღწეულია V-VII საუკუნეების პალიმფსესტებში (ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი, რომელიც ხელმეორედ არის საწერად გამოყენებული და რომლის ქვედა შრის ამოკითხვაც შესაძლებელია). **ახალი აღთქმა 27 წიგნისაგან შედგება: ოთხთავი, ანუ ოთხი სახარება** (მათესი, მარკოზისა, ლუკასი, იოანესი), **საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლეები** და **გამოცხადება იოანესი.** ახალი აღთქმა ბერძნულ ენაზე შეიქმნა პირველ საუკუნეშივე. ქართულად ახალი აღთქმის წიგნების უმეტესი ნაწილი უნდა თარგმნილიყო ქრისტიანობის მიღებისთანავე, IV საუკუნეში.

ძველი აღთქმა არის ღვთის მიერ თავისი რჩეული ერისათვის მიცემული დაპირება, დადებული აღთქმა, რომლის თანახმად, ისრაელი თუ ღვთის ნებას აღასრულებდა, მას ღმერთი დაიფარავდა, შეეწეოდა. წინასწარმეტყველები ებრაელ ერს ამზადებდნენ ახალი აღთქმისთვის, მოძღვრავდნენ, რომ სამყაროს შემოქმედი ახალ კავშირს დაამყარებდა, ახალ აღთქმას დაუდებდა ამჯერად არა მხოლოდ რჩეულ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, ხსნის გზას დაუსახავდა ყოველ ცალკეულ პიროვნებას ღვთის სიტყვის (ღვთის მხოლოდშობილი ძის, ქრისტეს) განსხეულებით, ჯვარცმითა და მკვდრეთით აღდგომით. ახალი აღთქმა არის არა ღვთისა და რჩეული ერის კავშირი, არამედ ესაა ახალი კავშირი ღვთისა და ყოველი ადამიანისა. ესაა კავშირი ადამიანის პიროვნების განმაახლებელი.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებისათვის:

ნიკოლოზ ბარათაშვილი „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“

მ ა ი კ ო – ქაიხოსრო ორბელიანის ასული, და მიხეილ ორბელიანისა, ლევან მელიქიშვილის დანიშნული, ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და ნათესავი. გარდაიცვალა 1846 წელს.

რ ა ხ ა ე ლ – რახაელ ციციშვილი, ბარათაშვილების ახლო ნაცნობი (ცნობა პოეტ გიორგი ლეონიძისა).

ი ა ს ე – იასე ანდრონიკაშვილი, სამხედრო პირი, მსახურობდა ჭარ-ბელაქანში.

გ ო ლ ო ვ ი ნ ი – ალ. გოლოვინი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1838-1842 წლებში. გოლოვინს ცოლად ჰყავდა ფონვიზინის ასული

მ ა ნ ა ნ ა — ივანე (მირმანოზ) ერისთავის ასული, დავით ორბელიანის მეუღლე (1808 –1870), სილამაზით ცნობილი ქალი 50-იანი წლების თბილისში. ქართული წყაროები მანანა ორბელიანს ახასიათებენ როგორც ქართული მწერლობის დიდ მოყვარულს. იგი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას. მეგობრობდა ნ. ბარათაშვილის ოჯახთან. გამოყვანილი ჰყავს ლევ ტოლსტოის მოთხრობაში „ჰაჯი მურატი“

ტ ა ს ო – მანანას ასული ანასტასია ორბელიანი, რომელიც შემდეგ მისთხოვდა ქ. ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს.

ე ლ ე ნ ე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა, პოლკ. ზ. ერისთავის მეუღლე.

ნ ი ნ უ ც ა — ნინო ბარათაშვილი, ნიკოლოზის და (დაიბ. 1829 წ. 18 ივნისს).

ა ნ ნ ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა — ანა ივანეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა (იხ. კავკ. კალენდარ, 1846, გვ.264).

ი ლ ი ა – ილია ორბელიანი. ნ. ბარათაშვილის ბიძა, ძმა გრ. ორბელიანისა. დაიბ. 1814 წელს. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში (ჩარიცხულ იქნა ქართველ გრენადერთა პოლკში უნტერ-ოფიცრად). 1841 წ. გადაიყვანეს თბილისის ეგერთა პოლკში. იმავე წელს დაინიშნა მე-19 ქვეითი დივიზიის უფროსის გენ.-ლეიტენანტის ფეზეს (კარპე კარპეს ძე, კავკასიური ომის ცნობილი მონაწილე, იბრძოდა დაღესტანში 1836-1844 წწ.) ადიუტანტად. 1845 წ. ებოძა კაპიტნობა. 1849წ. — პოლკოვნიკია; 1851 წ. — გრენად. პოლკის უფროსი. 1852 წ. მიიღო გენ. მაიორის ხარისხი.

1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში ილია ორბელიანი და მასთან ერთად ორი ოფიცერი: პოლკ. სნაკსარევი და პრაპორშჩიკი ანანოვი, ხელში ჩაუვარდათ შამილის რაზმელებს. ტყვეები წაასხეს შამილის რეზიდენციაში, დარღოში. ილია ორბელიანმა წვიმიან ღამით სცადა გაქცევა, მაგრამ გზაზე დაღესტნის სოფ. მეხელტას ახლოს დაიჭირეს და უკანვე მოჰგვარეს იმამს. ილიას გამოსყიდვის შესახებ შამილთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერლები კლუკი-ფონ-კლუგენაუ და მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ბოლოს, 1842 წ. ნოემბერს ილია გამოიხსნეს: შამილმა ის გადაცვალა რუსების მიერ დატყვევებულ ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯზე. იმამს დაუბრუნეს სხვა მთიელი ტყვეებიც.

1853წ. იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ, ბაშკადიკლართან, სადაც სასიკვდილოდ დაჭრეს (ნოემბერში). დაკრძალულია ქვაშვეთის ეკლესიაში (დაწვრ. იხ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, გვ. 222).

გ ლ უ ხ ა რ ი ჩ ი — გიორგი ერისთავი, ცნობილი ქართველი კომედიოგრაფი (1811-1864).

გ. ერისთავი დიდი პატივისმცემელი იყო ნ. ბარათაშვილისა, რომლის დაკარგვა გამოიტირა ლექსში „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“.

მასწავლებლისათვის: ***გთავაზობთ დამატებით ინფორმაციას***
სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

სულხან-საბა ორბელიანი, ფრიად განსწავლული და მრავალმხრივი მოღვაწე (პროზაიკოსი, პოეტი, ლექსიკოგრაფი, მქადაგებელი, მწიგნობარი, სახელმწიფო და საეკლესიო პირი) დაიბადა სოფელ ტანძიაში. მისი მამიდა, როდამი, დიდი ყაფლანის ასული, ცოლად ჰყავდა მეფე ვახტანგ

V-ს. პატარა სულხანი სამეფო კარზე იზრდებოდა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მამიდაშვილებთან – მეფე გიორგი XI-სთან, არჩილთან, ლევანთან.

საბას სულიერ თვისებათა წრთობაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, აგრეთვე, ცხადია, სამეფო კარმა, სადაც იგი მალე დაწინაურდა. მთელი შემდგომი საქმიანობა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა მან ქართლის კეთილდღეობისათვის ბრძოლას შეალია.

აღსანიშნავია, რომ, სახელდობრ თბილისში, სამეფო კარზე ცხოვრებისას დაევალა ჩინებულ დიდაქტიკოსს მომავალი მეფის, ვახტანგ VI-ის, აღზრდა.

სულხან-საბა ორბელიანი წლების განმავლობაში იღვწოდა ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე. მისი გამგზავრება ევროპაში (1713-1716 წწ.), ირანსა თუ რუსეთში ქვეყნისა და მშობლიური ხალხის უანგარო, გულმხურვალე სიყვარულით იყო განპირობებული; საკუთრივ მას, ვითარცა დიპლომატსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკუთვნის პრიორიტეტი კულტურულ ევროპულ სამყაროსთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენის ცდებისა.

იმ პერიოდში, როდესაც შაჰმა ქართლის მეფობა გამაჰმადიანებულ ერეკლეს (ნაზარალიხანს) უბოძა და 1688 წელს გიორგი ქართლიდან გააძევეს, უკადრისი ხვედრი ერგო საბასაც — იგი უმართებულოდ ჩამოაშორეს სახელმწიფო საქმიანობას. მოგვიანებით იგი, 1698 წელს, „მონაზონ იქმნა და გარეჯის მრავალმთის წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა“.

1703 წელს ქართლის ტახტზე ვახტანგ VI ავიდა და სულხან-საბაც პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა. 1710-1712 წლებში იგი დიპლომატიური მისიით ორგზის იმყოფებოდა ირანს, ხოლო 1713 წელს ფრანგ მისიონერ რიშართან ერთად საგანგებო დავალებით ევროპაში გაემგზავრა. გზად, 1713 წელს ორბელიანმა კონსტანტინოპოლში კათოლიკობა მიიღო – წმიდა ბასილის ორდენის წევრი გახდა. ცნობილია ამ ორდენის თავისებურება — გარკვეული სიახლოვე მართლმადიდებლობასთან, კერძოდ, ისიც, რომ ბასილიანთა ორდენის წევრთ წვერის ტარების უფლება ჰქონდათ, სხვა კათოლიკეთაგან განსხვავებით.

საბას მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო:

კონსტანტინოპოლი — მარსელი — პარიზი — რომი, იტალიის სხვა ქალაქები — კონსტანტინოპოლი — თურქეთის გზით საქართველო.

1714 წელს, აპრილში, საბა ვერსალში ლუდოვიკო XIV-მ მიიღო.

„ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
– ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! – თქვა და თითქოს კიდეც ინანა.
მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
...
რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“, – ასე გამოეხმაურა საბას დიპლომატიური მისიით მოგზაურობას თითქმის სამასი წლის შემდეგ პოეტი მუხრან მაჭავარიანი ლექსით „საბა“.

პარიზიდან უშედეგოდ გამობრუნებულ ქართველ მოღვაწეს რომის პაპმა, კლიმენტი XI-მ, იმავე წლის ივლისში ორჯერ გაუმართა აუდიენცია. არსებობს გადმოცემა, რომ ღრმა პატივისცემის ნიშნად პაპს ფეხები დაუბანია საპატიო სტუმრისათვის; დაუსაჩუქრებია, მისიონერებიც გამოუყოლებია, მაგრამ რეალური დახმარება ვერც მას აღმოუჩენია.

ასე ჩაიარა უქმად ევროპულ სამყაროსთან კავშირის აღდგენის საბასეულმა მცდელობამ და „ფრიადმა შრომამ“, რის გამოც მრავალი შეჭირვებისა და შეურაცხყოფის ატანა და დათმენა მოუხდა დიდ მეიგავეს. „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი — ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია... მერე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ, კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს, მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს... მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ, ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს, მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი

დაეტუქსა, – წერს სულხან საბა თხზულების – „მოგზაურობა ევროპაში“ – ბოლოს.

გადის ხანი. 1721 წელს შაჰი ვახტანგს რუსული ორიენტაციის გამო შემოსწყრა და ქართლის სამეფო გადასცა კახეთის მეფეს, კონსტანტინეს, რომელიც ქართლზე ლეკების ჯარით წამოვიდა. ვახტანგმა თურქები მოიწვია დასახმარებლად. ამ ბრძოლაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, ორივე ბაგრატიონი დამარცხდა. კონსტანტინე ფშავ-ხევსურეთს გადაიხვეწა. თურქებმა თბილისი აიღეს „კარები დახვდათ ღია რა“ (დ. გურამიშვილი). ვახტანგი ცხინვალის გზით 1500-კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა. ქართლის აწეწილმა ბედმა და აღზრდილის დიდმა სიყვარულმა ვახტანგ VI-სთან ერთად საბასაც რუსეთისაკენ აქნევინა პირი.

ცხოვრების ულმობელი ლახვრით გატანჯულმა, ჯანგატეხილმა სულიერმა მამამ „სრულიად საქართველოისამ“ პეტერბურგამდე ვერ მიატანა — 1725 წლის 26 იანვარს იგი მოსკოვში გარდაიცვალა. დაკრძალეს ვსესვიატსკოეს ძველ ეკლესიაში. სარწმუნოა, რომ საბა, კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში ის, ცხადია, მართლმადიდებლური ეკლესიის გალავანში ვერ დაიმარხებოდა. საბა დაიტირა მამიდაშვილის შვილმა - არჩილ მეფის ასულმა, დარეჯან ბატონიშვილმა.

საბას დიდ ავტორიტეტზე თანამედროვეთა შორის მეტყველებს უცხოელი მოგზაურის — ფრანგი მისიონერი რიშარის — სიტყვები: „იგი მთელს საქართველოს მამად მიაჩნიაო“.

სულხან-საბას ცხოვრება ერთგვარი მატიანეა იმ ბრძოლათა, ტყვეობათა, მარცხთა და უბედობათა, ძმათა სისხლის ღვრისა თუ განადგურებისა, რაც საქართველოს XVII-XVIII საუკუნეებში გადახდა.

განგებამ სულხან-საბას მძიმე და ტრაგიკული ბედი არგუნა. საქართველოს სიყვარულმა ათას ადგილას ატარა, ათას გაჭირვებას შეჰყარა, მიუხედავად ამისა, „სოფლის საქმეთაგან უცალო“ სულხან-საბა ორბელიანი მაინც პოულობდა დროს ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისათვის. იგი გახლდათ პროზაიკოსი, პოეტი, ლექსიკოგრაფი, მქადაგებელი, მწიგნობარი, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო.

სულხან-საბას კალამს ეკუთვნის:

* იგავარაკული ჟანრის მშვენება „**სიბრძნე სიცრუისა**“ (1686-1695წწ.);

* ქართული სინამდვილისათვის ჯერხნობით კვლავ მიუწვდომელმა ლექსიკოგრაფმა შეადგინა „**ლექსიკონი ქართული**“, რომელზე მუშაობაც 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს დაასრულა. ლექსიკონს ვახტანგ VI-მ სიყვარულით „**სიტყვის კონა**“ უწოდა;

* სულხან-საბამ საფუძველი ჩაუყარა მემუარულ ჟანრსაც. ქართულ მწერლობაში მან პირველმა დაწერა აღნიშნული ჟანრის შედევრი „**მოგზაურობა ევროპაში**“, რომელიც ჩვენამდე არასრული სახითაა მოღწეული;

სულხან-საბას დაუწერია, აგრეთვე, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებანი:

* „**ქადაგებანი**“ და „**სამოთხის კარი**“ (1698-1703წწ.);

* შეუსწორებია „**საქრისტიანო მოძღვრება**“ ანუ **კატეხიზმო;**

* უთარგმნია „**წამებანი წინასწარმეტყველთანი**“ და „**სწავლა მეცნიერთათვის თქმული: აღვიარებ, რომელ არს ღმერთი ან სჯული**“;

* გაუკეთებია „**ბიბლიის**“ ტექსტის რედაქტირება, რომელიც „**მცხეთური ხელნაწერის**“ სახელწოდებითაა ცნობილი; ეს წიგნი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ქართული ბიბლიოლოგიის, ამ ეპოქის ფილოლოგიური, მეცნიერულ-კრიტიკული საქმიანობის ძეგლია.

* სულხან-საბას გაუწევია დიდი შრომა ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „**ქილილა და დამანას**“ „გაჩალხვასა“ და ლექსებით გაწყობაში.

* მან პირველმა დაარღვია რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი შაირი და „ქილილა და დამანა“ ათმარცვლიანი ლექსებით გააწყო;

* სულხან-საბას დაუწერია რამდენიმე **ანბანთქება.**

* სულხან-საბას მიუძღვის წვლილი 1709 წელს თბილისში სტამბის გახსნაში.

სულხან-საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღხდა ორბების ზე.

ასე შეამკო ქართველმა ერმა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული დიდი მამულიშვილი.

მასწავლებლისათვის: ***გთავაზობთ ადაპტირებულ ტექსტს***

„მოგზაურობა ევროპაში" – შემოკლებით

/„ ფრანცისიდამ წამოსვლა სულხან-საბა ორბელიანისა და იტალიაში შესვლა" /
ადაპტირებული ვარიანტი

ოცდა ცხრა ივნისი იყო, რომში რომ შევედით. (ივნისის ოცდაცხრაში რომში შევედით...) ხუთ ივლისს წმინდა პაპთან (იგულისხმება რომის პაპი კლემენტი XI) წამიყვანეს. პაპის საზაფხულო რეზიდენცია რომის შუაგულში, მაღალ ადგილზე, დგას. იმჟამად იქ იმყოფებოდა პაპი. სასახლის ქება ბევრგან წერია და თქვენც დამეთანხმებით, რომ სხვების სასახლეებზე უარესი არ იქნება. მთელ სასახლეში წითელი აბრეშუმის ფარდაგები ეფინა, ოქრომკედის არშიებით მორთული. შესასვლელიდანვე ჯერ რიგ-რიგად კარისკაცები და დარბაისლები დგანან, მათ წინ – მღვდლები და ეპისკოპოსები. მე რომ მივედი, კარდინალი იქ არ იყო და პაპი საზეიმოდ გამოწყობილი არ დაგვხვედრია, ჩვეულებრივი სამოსით მიგვიღო.

შემიყვანეს, პატარა ოთახში იჯდა. ჯერ შესასვლელ კართან მოგვაყრევინეს მუხლი, მერე შუა ოთახში და შემდეგ ფეხზე ვემთხვიეთ პაპს; თავზე მომეხვია. მე წესისამებრ დაჩოქილი ვიყავი, მაგრამ უმალ ფეხზე წამომაყენა. გვერდით ახლოს დამიყენა. მომიკითხა და მომიალერსა.

მოვახსენე:

წმინდა მამაო, რაკი შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა (იგულისხმება ვახტანგ VI), თავის მშველელად (მხსნელად) მიგიჩნიათ, იმედი მომეცა, ყველაფერს მოვაგვარებდი. მაგრამ დაგვიანება ჩემს მეფეს დააზარალებს, რადგანაც ცუდ ადგილას იმყოფება-მეთქი.

მიბრძანა:

ვახტანგისა და შენი ქვეყნის სასარგებლოდ სიცოცხლესაც არ დავიშურებო.

მადლობა გადავუხადე და მოვახსენე:

ვატყობ, რომ ვახტანგის საქართველოში არყოფნით ბევრი რამე დააკლდება ქრისტიანობას და თუ სამშობლოში დაბრუნდება, მართლმადიდებლობას ბევრი მოემატება. ეს საქმე მქონდა (ეს მინდოდა მეთქვა), ახლა გთხოვ გამიშვათ-მეთქი.

გამიცინა და მიბრძანა: შენთვის ვილოცებ (შენს თავს ღმერთს შევავედრებ), რომ დიდხანს იცოცხლო. ბევრ საქმეში მჭირდება შენი დახმარებაო.

ერთ კარდინალს ერთი დიდი და [პატიოსანი] ბიბლიოთეკა აეშენებინა, კედლის ძირიდნ ჭერამდე, ოთხივე მხარეს, უამრავი წიგნი ეწყო. ეს იმათთვის, ვისაც წიგნის ყიდვა არ შეეძლო. იქ მივიდოდა და რომელ წიგნსაც კი მოიკითხავდა, მიართმევდნენ. გარეთ გატანა არ შეიძლებოდა, იქ უნდა წაეკითხა, რამდენ ხანსაც უნდოდა. სამადლოდ ასე გაერიგებინათ (დაედგინათ).

... ივლისს კარდინალის სანახავად წავედით. ძალიან ტკბილად და მოწლედ მოგვეპყრო. მთელი ოთახები დამატარა. პირველად თავისი ბიბლიოთეკა მაჩვენა. ბევრი წიგნი ვნახე სასულიერო, საერო თუ ფილოსოფიური. საწიგნეში (წიგნსაცავში) შემიყვანა.

პლატონის, არისტოტელესი და მათი ამხანაგების პორტრეტები მაჩვენა და მათი დაწერილი წიგნები. ასეთი ოთხი-ხუთი ოთახი იყო წიგნებით სავსე. იქიდან პაპის ბიბლიოთეკაში შეგვიყვანეს, იმას სხვა არა შეედრება რა. დიდი და გრძელი ოთახები იყო. ყველა რჯულსა და ყველა ენაზე დაწერილი წიგნები ვნახე. ბევრი ვეძებე ქართული წიგნები, მაგრამ ვერ ვიპოვე, არ ჩანდა.

ჩვიდმეტი თვე კონსტანტინოპოლში დავყავი. იქიდან ცამეტ მაისს წამოვედით. საფრანგე-

თის დესპანმა საგძალი ხარჯი გაგვირიგა (გზისთვის საჭირო ხარჯი მოგვიგვარა). ერთი ჭანეთის ათინელი გემის კაპიტანი ნახეს, ოთხასი მარჩილი მისცა, რომ ჩვენ ქობულეთში მივეყვანეთ და გურიელისთვის მივებარებინეთ. გურიელსგან წერილი უნდა მიეტანა, იმის დასტურად, რომ ჩვენ მშვიდობით ჩაგვიყვანა. პირობაც ჩამოართვა, რომ ჩვენს ხომალდში ოცი მეზღვაურის მეტი არავინ ჩაესვა.

წამოგვიყვანა. კონსტანტინოპოლის სრუტე რომ გამოვიარეთ, შავი ზღვის შემოსავალზე, მოიყვანა თათრები, თურქი ჯარისკაცები, მათი უფროსი და ჩვენი ხომალდი სულ თათრებით აავსო. მე ზევით ადგილი არ მქონდა არც კამარად(...). დაბლა ხომალდის ფსკერში ჩემს ფუთაზე ვიჯექი და ვიწექი კიდეც. თუმცა ტკბილი სიტყვით გვატყუებდა, მაშინვე მივხვდი სიმუხთლეს. რა მექნა, უკან დაბრუნებაც აღარ შეიძლებოდა.

ზურგის ქარები დაგვიდგა. მეათე დღეს ათინაში კაპიტნის სახლებთან მოვედით. შემითანხმდა, რომ ორიოდე დღეს სახლში დაისვენებდა. ეს თათრები თავიანთ გზაზე წავლენ და შენ მშვიდობით ჩაგიყვანო ქობულეთში. მეტი რა ძალა მქონდა, რომ არ დამეჯერებინა. ის თათრები კი ამოსხა ხომალდიდან და გაუშვა, მაგრამ უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ გონიის გამგებელს (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში), დიდი კაცი მოდის, მრავალი საქონელი მოაქვს, ფრანგები მოჰყავს, ელჩები არიან, დაიჭირეთო.

ოთხი დღე იქ დაგვაყენა და მერე გვითხრა: მე გურიაში ხომალდით ვეღარ მიგიყვანთო; აფხაზეთი არეულია, მეშინიაო და თუ გინდათ, პატარა ნავით წადით, გინდა გურიაში, გინდა ახალციხეშიო.

რაღა უნდა მექნა. ერთ ნავში ბურსელი ვაჭარი ხოჯა აივაზის ჯალაბი, მისი შვილი და ამხანაგები ჩასხდნენ, აბრეშუმის საყიდლად მიდიოდნენ განჯაში. ერთში ჩვენ და პატრები. ზღვის ნაპირას მოვდიოდით. ცოტა ხანში ზღვა აღელდა და ნავები ერთმანეთს დააშორა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი — იმას ქვევით.

ზღვაში ტყვეებით მოვაჭრე თათრებს გადავეყარეთ, იმერეთიდან ტყვეები მოჰყავდათ კონსტანტინოპოლში გასაყიდად. ისინი რომ არ მოგვშველებოდნენ, სულ დავიღუპებოდით. ზღვის ნაპირას გავედით; ოთხი დღე იქ გავჩერდით ძლიერი ღელვის გამო.

მოვიდნენ ჭანები, დაგვიჭირეს, ძალიან გაგვაწვალეს, ოცი მარჩილი წაგვართვეს, ზანდუკები დაგვიმტვრიეს, დაიბრალეს, მებაჟეები ვართო.

მე მაცხელებდა. აგვატარეს ერთი უცხო პირაღმართი. ისე შეუძლოდ ვიყავი, მეგონა, ვკვდებოდი. სამოცი ფლური უბეში მედო, ისიც წამართვეს.

შუაღამისას ერთი კაცის სახლში შევედით, დაღლილებს წაგვეძინა. ორი დატვირთული ცხენი გამოეგზავნათ. დაგვაღვიძეს, შეგვსხეს, წამოგვიყვანეს. ერთი თურქი ჯარისკაცი მოგვეწია, უბელო ცხენზე იჯდა. წვიმაში საწვიმარი წამართვა და ქვეშ დაიფინა. მე სიცივემ და წვიმამ უარესი მიყო. ვიარეთ. ნიგალის ხევში ხან იქ გადაგვიდგებოდნენ წინ და ხან იქ. გვსჯიდნენ.

მოვედით არტანუჯში. ისაყ ფაშას ცოლმა კარგად მიგვიღო. კარგად მოგვასვენა. გვავახშმა. თან თავისი ბატონიც გამოგვაყოლა. არტანში მოვედით, მაშინ ახალციხეში ასლან ფაშა იჯდა, ისაყ ფაშას ბიძაშვილი. ახლა ის გადაგვიდგა წინ, ექვსასი მარჩილი იმან წაგვართვა. სხვაც ბევრი რამე წამართვა! ძაღლებიც არ გამოგვატანეს.

მოვაღწიეთ ჩვენს ქვეყანას... ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსები და სამღვდელო პირები რომში წასვლის გამო გადამემტერნენ და ისე გადაიბირეს ყველა (შეკრეს ყოველი): ჩემი ნათესავი და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ დამეხმარა.

მერე სამღვდელო პირები ... შფოთი ... კრების მოწვევა და ბოროტება უნდოდათ, მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვის შემდეგ ბაქარი დაჯდა მეფედ, ვისთვისაც ამდენი ტანჯვა გადამეტანა და ვის მეფობასაც ვცდილობდი. თხუთმეტი წლის იყო და მოატყუეს. ჩემი სამსახური და სიყვარული სულ დაავიწყეს. მცხეთაში კრება მოიწვიეს და წმინდა პაპის გინება მომიდვეს(?). მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავი. მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმა გვიშველა. მეფემ პატივი მოგვაგო და მათმა ვერაგობამაც ფუჭად ჩაიარა. ეს ამბავი ვახტანგ მეფეს გაეგო, ძალიან სწყენოდა და ყველა დაეტუქსა.

მასწავლებლისათვის: ***გთავაზობთ***

დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ვრცელ ვარიანტს

დავით გურამიშვილის წინაპრები, წარმოშობით მესხი დიდებულები, გვარად ზედგენიძეები, ყოფილან. ისინი დაახლოებით XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე გადმოსახლებულან მესხეთ-ჯავახეთიდან თურქთა შემოსევების გამო. გურამიშვილთა გვარ-გუჯარის დამდები, გურამ ზედგენიძე, წიწამურის ბატონი ყოფილა. ამ გვარის წარმომადგენელნი შიდა ქართლის ამილახორებად, ანუ მეფეთა მეჯინიბეთუხუცესებად ჩანან. ვახუშტის ცნობით, გურამიშვილები მღვიმელი ზედგენიძეების შთამომავალნი არიან. ქართველი მეფეების ყურადღებას პოეტის წინაპრები „ერთგულებით, თავდადებითა და ნამსახურებით“ იქცევდნენ.

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს, საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის, მცხეთის, მახლობლად, მდინარე არაგვის სანაპიროზე, სოფელ გორისუბანში (საგურამოს თემი). გურამიშვილებს პატრიარქალური (განუყოფელი) ოჯახი ჰქონიათ. ძველი ქართული წესისამებრ, როგორც თავადიშვილს შეეფერებოდა, დავითი გაუძიძავებიათ გლეხის ოჯახში.

პოეტს სიჭაბუკე თავის მამულში, საგურამოში, გაუტარებია. 17-18 წლისა იქნებოდა დავითი, როცა ჩვენს ქვეყანას თავს დიდი გასაჭირი დაატყდა: ფეოდალური შუღლითა და შინააშლილობით დაუძლურებული საქართველოსათვის გამუდმებით ეცილებოდნენ ერთურთს ირანი და ოსმალეთი. ამას დაერთო ლეკთა თარეში და ქართველი ტყვეებით ვაჭრობა. ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. შიშიანობის გამო გურამიშვილის ოჯახი ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში, გაიხიზნა. პოეტის პირველი მეუღლე, აზნაურ გარაყანიძის ქალი, ლამისყანიდან ყოფილა. დაახლოებით 1727-1728 წლებში, 22 წლის, ახლად შეუღლებული, დავითი, სიმამრის სამკვიდროდან, ლეკებს (პოეტის გადმოცემით, ისინი თხუთმეტნი ყოფილან) ისე მოულოდნელად გაუტაციათ, რომ მას წინააღმდეგობის გაწევა ვერც კი მოუსწრია. მათ დავითი დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში მიუყვანიათ. ლეკები მეტად უდიერად ეპყრობოდნენ თურმე ჭაბუკ პოეტს. დავითი ტყვეობიდან გაპარულა, მაგრამ დაუჭერიათ და უკან დაუბრუნებიათ. იგი ტყვეობიდან მეორედაც გაპარულა. ამჯერად მისი მცდელობა წარმატებით დამთავრებულა. ჩრდილოეთის ვარსკვლავს დანდობილი, მშიერ-მწყურვალი შიშველ-ტიტველი პოეტი თერთმეტი დღე მიიკვლევდა გზას და როგორც თვითონვე გადმოგვცემს, რომ მხოლოდ ამ ერთხელ არ უმტყუნა ფიზიკურად განადგურების ზღვრამდე მისულს ბედმა, მხოლოდ მეთორმეტე დღეს გაუღწევია „სარუსეთოს“, რაც მისთვის უკვე „სამშვიდობოს“ ნიშნავდა. დავითს თავი შეუფარებია თერგის პირას მცხოვრები ახალმოსახლეებისათვის, რომლებსაც პოეტი ყაზახ-რუსებად მოიხსენიებს.

მფარველი რუსი მეგობრების ხელშეწყობით, თერგი-ასტრახანის გზით, 1729 წლისთვის პოეტი უკვე მოსკოვშია, ლტოლვილი მეფის, ვახტანგ მეექვსის, კარზე. მეფესა და მის ვაჟებს დავითი დიდი პატივით მიუღიათ. ვახტანგ VI-ს მისთვის საკმაოდ მაღალი სახელო(თანამდებობა) – ჯაბადარბაშობა (= იარაღის მეთვალყურეთა უფროსი) უბოძებია და კარის სამსახურში აუყვანია. რუსეთს გადახვეწილ ქართველებთან ერთად დავითი ინტენსიურ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. აქ მას პოეტური ნიჭით თავი გამოუჩენია ლიტერატურულ პაექრობებში. კერძოდ, გამარჯვება მოუპოვებია სამეჯლისო პოეტურ შეჯიბრებაში, ვახტანგის კარის პოეტ ჯავახიშვილთან. ეს წლები მისთვის ნაყოფიერი გამოდგა. ფაქტობრივად, აქედან იწყება გურამიშვილის პოეტური ბიოგრაფია.

ვახტანგ მეფის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ სამშობლოში დაბრუნების იმედდაკარგულ ემიგრანტებს რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

დავითს 1738-1760 წლებში მონაწილეობა მიუღია ოსმალეთის, პრუსიისა და შვეციის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში. პრუსიასთან შვიდწლიან ომში 1758 წლის 15 აგვისტოს გურამიშვილი ტყვედ ჩავარდნილა და თითქმის ერთი წელი მაგდებურგის ციხე-ბასტიონში მჯდარა. მძიმე და ქარტეხილებით აღსავსე თავისი ცხოვრების შესახებ თვითონ მოგვითხრობს პოეტი:

„ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!“

1760 წელს პორუჩიკის (უმცროსი ოფიცრის) ჩინით დავითს თავი დაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და მეუღლესთან – ტატიანა ავალიშვილთან – ერთად დასახლებულა მირგოროდში. „აქედან იწყება დავით გურამიშვილის – ქართველი პოეტის, რუსი მეომრის, უკრაინელი მხვნელ-მთესველის მშვიდობიანი, მაგრამ შფოთიანი ცხოვრება. აქ ააგო გურამიშვილმა თავისი წისქვილი, აქედან უნდოდა მას არხებით გადაეგდო წყალი არა მარტო თავისი მამულის, არამედ მთელი იმ კუთხის მიწების მოსარწყავად. აქ, ამ მიწაზე, წერდა ჯანგატეხილი პოეტი „დავითიანს“, ნაღვლიანი და მგზნებარე, ირონიული და ღიმილიანი, ხავერდოვანი და ბასრი სტრიქონებით“ (მიკოლა ბაჟანი). გადის ათეული წლები... თავისი ცხოვრების მიმწუხრს პოეტს არ ასვენებს ფიქრი სამშობლოზე. ოცნებაში ელაციცება იგი სათაყვანებელ მამულს – საგურამოსა და ზედაზენს.

მიუხედავად მომქანცველი ცხოვრებისა, პოეტს მთლად მაინც არ ჩაჰქრობია იმედის ნაპერწკალი; ძალ-ღონე მოუკრებია, დაძაბულ შემოქმედებით შრომას შესდგომია და თავისი ლექსები ერთ კრებულად უქცევია. „სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს, თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებსო“, – ამბობდა ცალი თვალით ბრმა, უძლური მოხუცებული, მაგრამ სულიერად მხნე და უდრეკი პოეტი. და ეს მთელი, გაუბზარავი პოეტური გული ისე ამღერებულა, რომ ახლაც გვაოცებს და გვხიბლავს მისი წარმტაცი ხმები.

დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წლის 21 ივლისს, 87 წლის ასაკში. დაკრძალულია სახლთან ახლოს, მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

მირგოროდში დღესაც დგას გურამიშვილის პატარა მოკრძალებული ხატა(სახლი), დიდი პოეტის სახლ-მუზეუმად ქცეული, განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებით რომ უვლიან და ეფერებიან უკრაინელები.

დიდმა პოეტმა ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე – მისი მარადისობისაკენ გზაგაკვლეული დავითიანი, ერთი მხრივ, ღვთის ჭეშმარიტი სადიდებელია, ხოლო, მეორე მხრივ, მაცნეა იმ დიდი ეროვნული ტრაგედიისა, რომლის ერთ-ერთი უშუალო მსხვერპლი თავად შეიქნა პოეტი.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

მზეჭაბუკ ორბელიანი

მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მწიგნობარია. ის ერეკლეს მახლობელი კარისკაცი და სამეფო დარბაზის თვალსაჩინო წევრია. ჩვენში კარგად ცნობილია მზეჭაბუკის მახვილი და მოსწრებული სიტყვა, ნათელი და ფხიზელი აზროვნება; კერძოდ, დაწვრილებით შესწავლილია ბესიკისა და ჭაბუას „სათრეველი“ მიწერ-მოწერა, რაც მათი ენაწყლიანობის ნათლად მაჩვენებელია. ყოველივე ამის გვერდით ჩვენამდე მოღწეულია პ. იოსელიანის რედაქციით შემონახული ერთი საჯარო სიტყვა, რომელიც მზეჭაბუკს წარმოუთქვამს სახელმწიფო დარბაზში საქართველოს გაერთინების თაობაზე. ჩვენთვის, ცხადია, ეს უკანასკნელი ფაქტია განსაკუთრებით საყურადღებო.

ხსენებული სიტყვა ითქვა შემდეგ პირობებში: სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მაძიებელთა შორის იმერეთში ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს ებრძოდნენ მეფის ძმისწული – დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი – დავით გიორგის ძე. ამ ვითარებაში იმერეთის მოწინავე თავადების ჯგუფმა 1792 წელს ერეკლე მეორეს ამერ-იმერის გაერთიანების წინადადებით მიმართა.

საკითხის გადასაწყვეტად მეფემ დარბაზის ბჭობა გამართა. მას ესწრებოდნენ იმერეთის უფლებამოსილი დესპანები: ქაიხოსრო წერეთელი, ევთიმი გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, ზურაბ წერეთელი, იოანე აბაშიძე და ქართლ-კახეთის წარჩინებული ადამიანები: მეფე ერეკლე, გიორგი მეთორმეტე, სოლომონ ლიონიძე, მზეჭაბუკ ორბელიანი და სხვ.

ბჭობაზე საქართველოს გაერთიანების სასარგებლოდ მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს მზე-

ჭაბუკ ორბელიანს. ეს სიტყვა, ვფიქრობთ, შემოკლებული რედაქციით, მოთავსებულია პ. იოსელიანის ნაშრომში: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. აქ ნათქვამია:

„პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა... მეფე სდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა“.

მზეჭაბუკ ორბელიანის სიტყვა ანთებულია მხურვალე პატრიოტული პათოსით. ორატორი პირდაპირ, მტკიცედ და გულახდილად მიმართავს მეფეს და მოურიდებლად ამხელს მის მოჭარბებულ სიფრთხილეს. ეროვნული ღირსების ამაღლებით გატაცებული მამულიშვილი, რომლის დევიზია „მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის“, ერეკლეს მოუწოდებს ხალხის სამსახურისაკენ და ამის ერთ მაჩვენებლად ქვეყნის გაერთიანებას მიიჩნევს. ეს საღი და ნათელი მოსაზრება ორატორს გამოუთქვამს პათეტიკური ტონით, მღელვარედ და შთამაგონებლად.

იმავე ბჭობაზე სიტყვები წარმოუთქვამთ ანტონ კათალიკოსს, იმერეთის დესპანს ქაიხოსრო წერეთელს და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებს: იოანე მუხრან-ბატონს, სარდალ დავით ორბელიანსა და სოლომონ ლიონიძეს.

დარეჯან დედოფალთანაც იგივე უბრძანებია ჭაბუას: „ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტსა? – ვჰგონებ იქმნება საქმე ეშმაკისა, ბოროტისა კაცისა და ქვეყნის მტერისა. მამა-პაპათა სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ“.

ხსენებული საკითხის გადასაწყვეტად მეფეს მესამე დღეს მეორედ მოუწვევია დარბაზის კრება, რომელზედაც სიტყვები წარმოუთქვამთ მზეჭაბუკ ორბელიანს, ანტონ მეორეს, გიორგი მეთორმეტესა და მეფე ერეკლეს. მათი სიტყვების პერიფრაზული ტექსტები დაცულია პ. იოსელიანის დასახელებულ წიგნში.

ყოველივე ეს ჩვენი სადარბაზო ორატორული ხელოვნების მაღალი დანიშნულებისა და შესამჩნევი განვითარების მაუწყებელია ძველი ქართული მჭევრმეტყველების უკანასკნელ საფეხურზე.

/ ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 206-207 /.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

ლუდოვიკო (ლუი) XIV, *საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან, ბურბონთა დინასტიისა, ლუდოვიკო მე-13-ისა და ანა ავსტრიელის შვილი, 1851 წლამდე რეგენტად ჰყავდა დედა, ფაქტობრივად კი 1661 წლამდე საფრანგეთს მართავდა კარდინალი მაზარინი. 1661 წ. კარდინალის გარდაცვალების შემდეგ ლუი მე-14 საფრანგეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მეფის აბსოლუტიზმმა მიაღწია მწვერვალს. მას უწოდებენ „მეფე მზეს“, მასვე მიაწერენ ცნობილ გამოთქმას: „სახელმწიფო – ეს მე ვარ!“ მისი სურვილი იყო, საფრანგეთს მიეღწია ევროპულ ქვეყნებზე ბატონობისათვის. ამ მიზნით აწარმოებდა ომებს მეზობელ ქვეყნებთან. ამ ომებმა, მძიმე გადასახადებმა, რელიგიური ნიშნით დევნამ (ჰუგენოტები) მისი ხელისუფლება ხალხისათვის აუტანელი გახადა და დაიწყო გლეხთა გამოსვლები, რამაც XVII ს-ის ბოლოს გამოიწვია მეფის ხელისუფლების მწვავე კრიზისი.*

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

ნიკოლოზ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“

***

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“ XIX საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ, 1839 წელს დაწერა. ამ დროისათვის 38 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო.

„ბედი ქართლისას“ სიუჟეტს საფუძვლად უდევს რეალური ისტორიული მოვლენა – აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აღება, რამაც, ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალი ბედი განაპირობა. მაგრამ, როგორც ამბობენ, ეროვნული პრობლემატიკა პოემაში საგრძნობლად სახეშეცვლილია – კრწანისის ბრძოლის შემდეგ გამართული ერეკლე მეფისა და სოლომონ ლეონიძის კამათი თავისი შინაარსით უკვე XIX საუკუნეში მომხდარ ამბებს ითვალისწინებს. ესე იგი, მეფე და მსაჯული პოემაში, არსებითად, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ყოფნა-არყოფნაზე მსჯელობენ და არა რუსეთის მფარველობის ქვეშ მისი შესვლის მიზანშეწონილობაზე. ასეთი შინაარსის საუბარი ერეკლესა და მის მსაჯულს შორის სინამდვილეში ვერ შედგებოდა, რადგან ორივე მათგანისათვის ერთნაირად უცხო იყო ეროვნული „თავისუფლების განსყიდვის“ იდეა. რეალურად ერეკლეს გეგმა მხოლოდ ძლიერი მფარველის დახმარებას ითვალისწინებდა.

ისტორიული მასალა ნ. ბარათაშვილმა თავისი დროის აქტუალური პრობლემატიკის გადასაჭრელად გამოიყენა. ამდენად, პოემის კითხვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ერეკლე მეორისა და სოლომონ ლეონიძის პოზიციების ისტორიულ სისწორეზე, არამედ ახალ ეპოქაში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული ცხოვრებისა და მოქმედებისათვის რეალურად შესაძლებელი, მიზანშეწონილი გზის ამორჩევაზე.

* ისეთ ლიტერატურულ ხერხს, რომელშიც გარკვეული თვალსაზრისით დარღვეულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, შეცვლილია ისტორიული რეალობა ან ერთი ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენა და ნიშან-თვისება სხვა ეპოქაშია გადატანილი, **ანაქრონიზმი** ეწოდება.

ანაქრონიზმს ავტორები ძირითადად შეგნებულად, მიზანმიმართულად მიმართავენ, ამ გზით ამკვეთრებენ მხატვრულ ნაწარმოებში შექმნილ რეალობას და ასე გამოხატავენ ნაწარმოების იდეას ან მთავარ სათქმელს.

სწორედ ამ ხერხს იყენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემაში „ბედი ქართლისა“.

ისტორიული ვითარება

1781-1782 წლებში მეფე ერეკლემ ევროპის სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადა. ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს ხსნა და გაძლიერება მხოლოდ ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის გზით იყო შესაძლებელი. ამ მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, რადგან კავკასიაში ოსმალეთსა და რუსეთს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ და მათ ევროპელთა ფეხის მოკიდება საქართველოში ხელს არ აძლევდათ. ამრიგად, ერეკლეს წინაშე ასეთი არჩევანი დადგა: ირანი, ოსმალეთი ან რუსეთი. საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს არც ერთი მათგანი არ დატოვებდა. მუდმივი ომებით დასუსტებულმა საქართველომ ენერგიულად დაიწყო მოქმედება ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოებისათვის. 1783 წელს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის თანახმადაც, საქართველო რუსეთის უმაღლეს ძალაუფლებასა და მფარველობას აღიარებდა, რუსეთი კი კისრულობდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დათმობით ერეკლე ირან-ოსმალეთის აგრესიისაგან თავისი ქვეყნის საბოლოოდ გამოხსნას ლამობდა. ამიტომაც ირჩია მან გზა ევროპისაკენ – რუსეთის საშუალებით.

ერეკლე ესწრაფვოდა არა სამეფოს გაუქმებას, არამედ მის განმტკიცებას რუსეთის იმპერიასთან სამოკავშირეო ურთიერთობის გზით. მეგობრული ხელშეკრულება შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და მეგობრობაზე აღმოცენებულ ურთიერთობას გულისხმობდა.

მეფე ერეკლეს არჩევანით განრისხებული აღა-მაჰმად-ხანი 1795 წელს შემოესია საქართველოს. კრწანისის ველზე სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ მან ააოხრა თბილისი და მისი შემოგარენი. ამ ომში რუსეთი საქართველოს არ დახმარებია. მიუხედავად ამისა, ერეკლემ უფრო მეტად გააძლიერა რუსეთთან კავშირი. მეფის ამ პოლიტიკას მაშინდელ თავადაზნაურობაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

1798 წელს ერეკლე გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი XII, მაგრამ 1801 წელს ისიც გარდაიცვალა და ამით ბაგრატიონთა დინასტიის მეფობაც დამთავრდა. სოლომონის ოპოზიციური მოღვაწეობა გააქტიურდა ერეკლეს ძის – გიორგი მეთორმეტის გარდაცვლების შემდეგ, როცა რუსებმა კანონიერი მემკვიდრე დავითი ტახტზე არ აუშვეს და სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს. სოლომონმა დავითის მერყეობის პერიოდში პატიმრობა და დევნილობაც კი გამოცადა, ის ჯერ იმერეთში, შემდეგ ახალციხეში გადავიდა და იქ (ზოგიერთი ვარაუდით, სპარსეთში) აღესრულა.

პოლიტიკური ხრიკებითა და შინაური მოუწესრიგებლობით ძალაგამოცლილმა ქართველებმა თბილისში „სამშვიდობო მისიით“ მყოფ ათიათასიან ჯარს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. რუსებმა ქართლ-კახეთი ფაქტობრივად უბრძოლველად დაიპყრეს. ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე მთლიანად რუსეთის ხელში გადავიდა, 1801 წელს საქართველომ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა და ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.

საქართველოში დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ შეერთებაზე, მიაჩნდათ, რომ ერთმორწმუნე ქვეყანა მათ აღმოსავლელი დამპყრობლებისაგან დაიფარავდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ქართველი არისტოკრატია მიხვდა, რომ რუსეთს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ჰქონდა საქართველოში და დაუკავშირდა თავად-აზნაურთა იმ ფენას, რომელიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან შეერთებას.

XIX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის წინააღმდეგ ბევრი აჯანყება მოხდა

მთიულეთის – 1804, კახეთის – 1812, იმერეთის – 1821, გურიის – 1841, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც იმ ეპოქის თითქმის ყველა ქართველი მწერალი და მოაზროვნე მონაწილეობდა. ამ შეთქმულებას უმთავრესად ერთი მიზანი ჰქონდა: რუსეთის განდევნა საქართველოდან და ადგილობრივი მართვა-გამგეობის დამყარება. შეთქმულთა ნაწილი საქართველოში კვლავ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენაზე ოცნებობდა, ნაწილი კი მხარს უჭერდა ქვეყნის რესპუბლიკურ მოწყობას. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შეთქმულთა ძირითადი მიზანი იყო რუსეთის განდევნა საქართველოდან და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა.

შეთქმულება ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. იმავე წლის 9 დეკემბერს მისმა ერთ-ერთმა წევრმა, იასე ფალავანდიშვილმა, შეთქმულება გასცა, რასაც რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შეთქმულთა მიმართ რეპრესიები მოჰყვა.

შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი რუსეთის ერთგულების გზას დაადგა და იმპერატორის სამსახურში ჩადგა; ასევე მოიქცა ინტელიგენციის ნაწილიც.

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ხალხში სასოწარკვეთილება გამოიწვია. რუს მოხელეთა თავაშვებულობა უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. მართალია, ქართველი ინტელიგენცია აშკარა წინააღმდეგობას ვეღარ ბედავდა, მაგრამ თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედს იგი უწინდებურად მძიმედ განიცდიდა.

ასეთი იყო ისტორიული ფონი, ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ რომ დაიწერა.

სილაბუსი

საგანი: *ქართული ენა და ლიტერატურა*

კლასი: *IX*

მასწავლებელი: . . . .

საგნის შესახებ:

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცენტრალური ადგილი უკავია ქართულ ენას, რომელიც საქართველოს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სახელწოდებით ისწავლება.

ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთა-გან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგა-მოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები უნდა წარ-მოვიდგინოთ არა როგორც მათი შემთხვევითი ნაკრები, არამედ როგორც ერთი მთლიანი სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქვედა საფეხურზე შეძენილი უნარი თავადვე იქცეოდეს ახალ უნარ-ჩვევათა განვითარების წყა-როდ სწავლების მომდევნო საფეხურზე, ვლინდებოდეს კომპლექსურ პიროვნულ აქტივობაში, ინ-ტერაქტიურ მიმართებებში, საკომუნიკაციო ინიციატივის, დამოუკიდებელი კრიტიკული ანალიზი-სა და სიახლეთა პრეზენტაციის სურვილში.

სწავლების ამ საფეხურზე ჩვენი მიზანია:

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საშუალო სკოლაში უნდა წარიმართოს და სწავლების მიზანი განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, რომ პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ ქართული ენის საფუძველზე ყალიბდება, ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. ამ საგნის პრიორიტეტული მიზნებია:

* განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);

* გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;

* განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;

* შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერტურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

* გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:

ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
1. მოსწავლე ისმენს და წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე სხვადასხვა თვალსაზრისს სადავო ან პრობლემურ საკითხზე.	IX. 6. მოსწავლე კითხულობს ტექსტებს (მხატვრულს და არამხატვრულს), რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა თვალსაზრისს პრობლემურ ან სადავო საკითხებზე და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ.	IX. 9. მოსწავლე წერილობით გადმოსცემს საკუთარ თვალსაზრისს სადავო ან პრობლემურ საკითხებზე; აჯამებს განსხვავებულ შეხედულებებს მოცემულ საკითხზე.
IX. 2. ისმენს და აფასებს დისკუსიის მონაწილეთა აზრს, მიმართავს წერის სტრატეგიებს, ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.	IX. 7. მოსწავლე იყენებს ენობრივი მახასიათებლების სტრატეგიებს ნაწერის მეტყველებას საკომუნიკაციო სტრუქტურის ასახსნელად.	IX. 10. მოსწავლე წერილობით გადმოსცემს დეტალურ ცოდნას, ტექსტების ინფორმაციას, განგანსხვავებულ თვალსაზრისს.
IX. 3. მოსწავლე მსჯელობს განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.	IX. 8. მოსწავლე იყენებს კითხვის მიზნის შესაბამის სტრატეგიებს. და სტილს მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.	IX. 11. მოსწავლე ირჩევს წერილობითი ტექსტის ფორმასა
IX. 4. მოსწავლე ამოიცნობს და იყენებს დისკუსიისა და კამათის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს.	IX. 12. მოსწავლე იცავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას და ენობრივ ნორმებს.	
IX. 5. მოსწავლე იყენებს დისკუსიისა და კამათის	IX. 13. მოსწავლე ეფექტური ორგანიზებისათვის.	

სილაბუსის ნიმუში, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს შეუძლია მთელი წლის პროგრამა გაანაწილოს საათების მიხედვით სასწავლო წლის (33 კვირა + 4 დღე = 167სთ) განმავლობაში.

რომელი უნარ-ჩვევის

რისი სწავლება გვინდა? თარიღი (თემის სათაური)	**აქტივობები (დავალებები რუბრიკები სავარჯიშოები...) შედეგებთან)**	**რის განვითარებას ემსახურება (კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმასთან**	**რესურსები**

1. ანა კალანდაძე, „მოდიოდა ნინო მთებით“ (2 სთ);
2. ლეონტი მროველი, „ნინოს ცხოვრება“ /შემოკლებით / – (7 სთ);
3. შოთა ნიშნიანიძე, „ზედაზენი“ – (1 სთ);
4. დავით აღმაშენებელი, „ანდერძი“ – (3 სთ);
5. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“ – (2 სთ);
6. ანა კალანდაძე, „ფეხი დამადგით“ (2 სთ);
7. არსენ იყალთოელი, „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ (1 სთ);
8. აკ. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“ (15 სთ);
9. ვაჟა-ფშაველა, „კაი ყმა“ (2 სთ);
10. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ – ავთანდილის ანდერძი (4 სთ);
11. ილია ჭავჭავაძე, „დაე, თუნდ მოვკვდე“ (1 სთ);
12. თეთრჩოხიანი და შავჩოხიანები (3 სთ);
13. ხვარამზეს ლექსი – ხალხური (2 სთ);
14. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ – „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“ (4 სთ);
15. ბესიკი, „ტანო ტატანო“ (2 სთ);
16. შტეფან ცვაიგი, „უცნობი ქალის წერილი“ (7 სთ);
17. ანა კალანდაძე, „ბროწეულები“ (1 სთ);
18. პაოლო იაშვილი, „დარიანული“ (2 სთ);
19. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „საყურე“ (2 სთ);
20. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“ (3 სთ);
21. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „სული ობოლი“ (1 სთ);
22. ტერენტი გრანელი, „გულიდან სისხლის წვეთები“ (2 სთ);
23. ტერენტი გრანელი, „გაზაფხულის საღამო“ (1 სთ);
24. ვალერიან გაფრინდაშვილი, „სენტიმენტალური ტრიოლეტი“ (2 სთ);
25. რეზო ჭეიშვილი, „მუსიკა ქარში“ – / „ლურჯი ფრინველი“/ (3 სთ);
26. რიჩარდ ბახი, „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“ (7 სთ);
27. სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“ (6 სთ);
28. მუხრან მაჭავარიანი, „საბა“ (2სთ);
29. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“ / მითითებული თავები / (8 სთ);
30. ილია ჭავჭავაძე, „სარჩობელაზედ“ (8 სთ);
31. მიხეილ ჯავახიშვილი, „ეშმაკის ქვა“ (6 სთ);
32. გიორგი ლეონიძე, „მარიტა“ (8 სთ);

33. მზეჭაბუკ ორბელიანი, „სიტყვა თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობა-ზე“ (2 სთ);

34. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“ (10 სთ);

35. ნიკო ლორთქიფანიძე, „საშობაო მინიატურები“ (4 სთ);

36. ნიკო ლორთქიფანიძე, „ლიტერატურული საღამო“ (2სთ);

37. გოდერძი ჩოხელი, „მართა“ (7 სთ);

38. მუხრან მაჭავარიანი, „საშველს რომ აღარ მაძლევს“ (1 სთ);

მორჩენილი საათები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დამოუკიდებელი წერისათვის და თავისი შეხედულებისამებრ.